1933

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის
მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

1932 წლის თებერვლის 15	№ 3-4 განყოფილების პირველი	ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობის გამოცემა.

1933

შინაარსი:

დადგენილებანი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა.

მუხ. 24. „ამიერკავკასიის საიალაღო კომიტეტის თაობაზე“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილების დამატების შესახებ.

25. 1933 წლის საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიისათვის მომზადების შესახებ.

26. „1933 წლის საგაზაფხულო თესვის მომზადებისა და გაშლის ხაზით სასოფლო საბჭოების მასსური დათვალიერების ჩატარების თაობაზე“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1933 წლის იანვრის 7-ის დადგენილების ტექსტში შესწორებების შეტანის შესახებ.

27. სოფლად მუშაობისათვის საქალაქო საბჭოებისა და სამრეწველო საწარმოების მიერ დახმარების გაწევის შესახებ.

დადგენილებანი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

28. 1933 წლისთვის მებამბეობის სფეროში საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

29. არამარცვლეული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების ორგანიზაციისა და ადგილებზე საკონვენციო ბიუროების მუშაობის შესახებ.

30. 1933 წელს ა/კსფსრ-ში რძისა და რძის პროდუქტების დამზადების გეგმის შესახებ.

31. ამიერკავკასიის სარკინისგზო ტრანსპორტის მომუშავეებისათვის, მეურნეობის მოსაწყობად, მიწის ფართობების მიჩენის შესახებ.

32. ამიერკავკასიის ტრაქტორცენტრის შესახებ.

33. დებულება სარეწაო კოოპერაციის კომიტეტის შესახებ.

34. 1933 წელს ა/კსფსრ-ში ხელშეკრულებების დადების შესახებ.

35. „1933 წელს ა/კსფსრ-ში ხელშეკრულებების დადების თაობაზე“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. იანვრის 13-ის დადგენილების განხორციელებისათვის პასუხისმგებელ პირთა დანიშვნის შესახებ.

36. 1933 წლის საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის გეგმის შესახებ.

37. 1933 წლის საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიისათვის აგრო-ტექნიკური პროპაგანდის გაშლის შესახებ.

38. ამიერკავკასიის თესვის საქმეთა კომიტეტის მოწყობისა და შედგენილობის შესახებ.

39. პირველი ხუთწლედის აღსრულების ხაზით ჯამობითი სამუშაოების გამოცემის წესის შესახებ.

საქ. სახელმწიფ. ბიბლიოთეკა

40. ქალაქებისა და სოფლების რაიონებში საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საჭიროებათათვის დადგენილი გამოსაღების თაობაზე გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წლის იანვრის 29-ის დადგენილების განხორციელების შესახებ.
41. 1933 წელს ბამბის მოსავლიანობისა და გადასარგავი ბამბის ფართობების შესახებ.
42. ამიერკავკასიის თესვის საქმეთა კომიტეტის პასუხისმგებელი მდივნის დანიშვნის შესახებ.
43. „ექსპორტლესის" ამიერკავკასიის კონტორის მოწყობის შესახებ.
44. ა/კსფსრ ავტოტრანსპორტზე სამგზავრო და სატვირთო ტარიფების გამგებლობის შესახებ.
45. მალარიასთან ბრძოლის ღონისძიებათა დებულების დამტკიცების შესახებ.
46. მეაბრეშუმეობის სფეროში 1933 წლის გაზაფხულისათვის საწარმოო დავალებათა შესახებ.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა.

24. „ამიერკავკასიის საიალაღო კომიტეტის თაობაზე" გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილების დამატების შესახებ.

„ამიერკავკასიის საიალაღო კომიტეტის თაობაზე" გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილების დამატების შესახებ" (ა/კსფსრ კან. კრ. 1931 წ. მე-8 №-ი, მუხ. 99) არსებული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1932 წ. თებერვლის 17-ის დადგენილების შესაცვლელად ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

„ამიერკავკასიის საიალაღო კომიტეტის შესახებ" გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილების მე-2 მუხლის შენიშვნა მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

შენიშვნა. ამიერკავკასიის საიალაღო კომიტეტს თავისი აპარატი არა ჰყავს და იგი იყენებს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის აპარატს".

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ა. ანანიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **გ. სულთანოვი.**

1933 წ. იანვრის 20.
ტფილისი.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა.

25. 1933 წლის საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიისათვის მომზადების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ სოფლად სოციალისტური პოზიციების თვალსაჩინოდ განმტკიცებისა, ა/კსფსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზისის გაძლიერებისა და ა/კსფსრ ძირითადად სასოფლო-სამეურნეო რაიონების სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მიერ მოცვის პირობებში—საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის წარმატებით ჩატარება მთლად იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად მოახერხებენ საქალაქო საბჭოები, სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტები და სასოფლო საბჭოები ბოლშევიკურად უხელმძღვანელონ და ჩაატარონ საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიისათვის მომზადების საქმე, რამდენად შესძლებენ მეთაურობა გაუწიონ საკოლმეურნეო მასსების აქტიობას და რამდენად ულმობელ წინააღმდეგობას გაუწევენ კლასობრივ მტერს, კულაკურ საბოტაჟს და მავნებლობას, კოლექტიური მეურნეობისა, საბჭოთა მეურნეობისა და თვით სასოფლო საბჭოს შიგნითვე ძირგამომთხრელ კულაკურ მუშაობას.

ამისდამიხედვით ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

I. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმებს—საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის მომზადებისა და ჩატარების სფეროში სასოფლო საბჭოების მიერ წარმოებული მუშაობის დათვალიერების წინამდგომარე კამპანია ჩაატარონ იმ თვალსაზრისით, რათა საბჭოები, კოლექტიური მეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ულმობელად გაწმენდილ იქნენ კულაკური ელემენტებისაგან და კაპიტალისტური კონტრრევოლუციონური ნაშთებისაგან; თანაც საბჭოები, კოლექტიური მეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სამანქანო-სატრაქტორო სადგურები უზრუნველყოფილ უნდა იქნენ მუშათა კლასის საქმისათვის ნამდვილად თავდადებული მომუშავეების ხელმძღვანელობით, რისთვისაც საჭიროა მუდამ ახსოვდეს ყველას ბელადის სიტყვები: „საქმე ის არის, ვინ ხელმძღვანელობს საბჭოებს—რევოლუციონერი, თუ კონტრრევოლუციონერი“.

II. რადგანაც საორგანიზაციო მასსური მუშაობის ფართოდ გაშლა საუკეთესო გარანტიაა საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის წარმატებით ჩატარებისა, ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმებმა უნდა შესძლონ საბჭოების საორგანიზაციო მასსური მუშაობის ყოველღონით განმტკიცება—საბჭოების სექციების მუშაობის განმტკიცებით, სადეპუტატო ჯგუფების ორგანიზაციით და გაშლით კოლექტიურ მეურნეობებსა, საბჭოთა მეურნეობებსა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებში, კოლმეურნე-დამკვრელთა და მშრომელ

ინდივიდუალურ მეურნეთა ათიათასობით ჩაბმით სექციებსა და სადეპუტატო ჯგუფებში, მათი ყურადღების მობილიზაციით საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის კონკრეტული საკითხების გარშემო, ე. ი. სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის რემონტისა, საწევი ძალის მომზადებისა, თესვის გეგმების შესრულებისა, მოსავლიანობის გადიდებისა, კოლექტიურ მეურნეობებსა, საბჭოთა მეურნეობებსა და თვით საბჭოებში კულაკების და მათი დამქაშების გამოაშკარავების და სხვა მისთ. გარშემო.

III. საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის მომზადებისა და ჩატარებისათვის ხელმძღვანელობის რაც შეიძლება უკეთესად გაწევის მიზნით—წინადადება მიეცეს რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმებს:

1) მოახდინონ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების წევრებისა და პასუხისმგებელი მომუშავეების მობილიზაცია ადგილებზე დასახმარად გაგზავნისათვის—მათთან წინისწარ სათანადო ინსტრუქტაჟის ჩატარებით;

2) გამოსცენ ერთი დეკადის ვადაზე მასსური ლიტერატურა მე-II ხუთწლედის პირველი წლის საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კომპანიის მნიშვნელობის შესახებ, მოსავლიანობის გადიდებისათვის აგროტექნიკურ ღონისძიებათა მნიშვნელობის შესახებ და სხვა მისთ.;

3) მოისმინონ საყოველდღეო მუშაობის წესით ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების რწმუნებულთა, ბრიგადირთა, სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების და ცალკეული სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეთა მოხსენებები და მიიღონ პრაქტიკული გადაყვეტილებანი გამოაშკარავებულ ნაკლოვანებათა თავიდან ასაცილებლად და ჩამორჩენილი რაიონებისა, სოფლებისა და კოლექტიური მეურნეობებისათვის დაუყოვნებელი დახმარების გასაწევად;

4) მოაწყონ და დააყენონ სათანადო სიმაღლეზე ანგარიშგება და ინფორმაცია საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის მომზადებისა და ჩატარების მსვლელობის შესახებ, რისთვისაც დაამყარონ ქვევიდან ზევითამდე (კოლექტიური მეურნეობა, სასოფლო საბჭო, სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი, ცენტრ. აღმასრ. კ-ტი) წერილობითი, სატელეგრაფო, სატელეფონო და ცოცხალი კავშირი, ყველა რგოლეულში სპეციალური ინფორმატორების გამოყოფით და ხუთდღიური ანგარიშგებისა და კამპანიის მსვლელობის დეკადური დაწვრილებითი გაშუქების სისტემის შემოღებით;

5) უზრუნველჰყონ:

ა. ხაჭალაქო საბჭოების ხაზით: სოფლისათვის ფართო დახმარების გაწევა მოწინავე მუშებისა და სარემონტო ბრიგადების წარგზავნით სასოფლო საბჭოების დასახმარებლად; სოფლად საშეფო მუშაობის გაძლიერება სექციებისა და დეპუტატთა ჯგუფების მეშვეობით; მეთვალყურეობის გაწევა საწარმოთა მიერ სასოფლო-სამეურნეო კამპანიის ხაზით მიცემული შეკვეთების აღსრულებისათვის და აგრეთვე ტრანსპორტისათვის იმ მხრით, რომ საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის საჭიროებისათვის წარმართული ტვირთი დაჩქარებით იქნეს გადაზიდული, და სხვა მისთ.;

ბ. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების ხაზით:

ა) ოპერატიული და დიფერენცირებული ხელმძღვანელობის გაწევა მთელი მუშაობისათვის რაიონში საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის ჩასატარებლად; უშუალო ცოცხალი დახმარების გაწევა სასოფლო საბჭოებისათვის—მეტადრე ჩამორჩენილებისათვის—რაიონის პასუხისმგებელი მომუშავეების წარგზავნით და მიმაგრებით, სისტემატიური საკონტროლო გასვლით ადგილებზე, ყოველდღე სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეებისა და კოლექტიურ მეურნეობათა გამგეობის თავმჯდომარეების ცნობებისა და ანგარიშების მოსმენით, სასოფლო საბჭოების მუშაობისა, მზადყოფნისა და ბრძოლის უნარიანობის უშუალო შემოწმებით, აგრეთვე ცალკეულ აღმასრულებელთა მუშაობის შემოწმებით; ამასთანაგე, გადაჭრით აღკვეთილ უნდა იქნეს ყოველგვარი აღვირახსნილობა, უთაურობა, კულაკისა და მისი დამქაშებისათვის ხელის შეწყობა და სხვა მისთ.;

ბ) საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის სარაიონო გეგმების ფართო განხილვა სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეთა თათბირებზე, სადარგო საკოლმეურნეო თათბირებზე, კოლმეურნეთა შეკრებაზე რაიონში, საწარმოო თათბირებზე და აგრორწმუნებულთა თათბირებზე, დელეგატ-ქალების თათბირებზე, სასოფლო საბჭოების პლენუმებზე და სხვა მისთ.;

გ) საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის წარმატებით ჩატარებისათვის საჭირო ყველა საკითხის თავის დროზე და გარკვევით გადაწყვეტა და ყველა ღონისძიების განხორციელება, კერძოდ— სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის რემონტთან, რაიონში ქონებული რთული სასოფლო-სამეურნეო მანქანების მიზანშეწონილად გამოყენებასთან, თესლის მომარაგებასთან და კოლექტიურ მეურნეობებსა, საბჭოთა მეურნეობებსა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებში საზოგადოებრივი კვებისა, სამკურნალო დახმარებისა, წყალდიდობასთან ბრძოლისა, მუშა-ძალის მოგროვებისა და სხვა მისთ. მოწყობასთან დაკავშირებული საკითხებისა;

გ. სასოფლო საბჭოების ხაზით:

ა) ბოლშევიკური უშუალო ხელმძღვანელობის გაწევა საგაზაფხულო სასოფლო-სამერნეო კამპანიის ჩასატარებლად საჭირო მთელი მუშაობისათვის სოფლად, სექციებზე და დეპუტატთა ჯგუფებზე, ღარიბთა ჯგუფებზე, საკოლმეურნეო, კომკავშირულ და ქალთა აქტივზე დაყრდნობით და ულმობელი წინააღმდეგობის გაწევით კულაკისა, მისი დამქაშებისა, კულაკური საბოტაჟისა და მავნებლობისათვის და საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობების ქონების კულაკების მიერ გატაცებისათვის;

ბ) გეგმების კოლმეურნეობებამდე და მშრომელ ინდივიდუალურ მეურნეობებამდე თავის დროზე მიწვდენა და მტკიცე დავალებების თავის დროზე მიცემა კულაკურ-შეძლებული მეურნეობებისათვის—ამ გეგმების და დავალებების წინასწარი დამუშავებით სასოფლო-სამეურნეო საწარმოო თათბირებზე, აქტივის კრებებზე, საბჭოების სექციების პლენუმებზე, დეპუტატთა ჯგუფებში, კოლმეურნეთა საერთო კრებებზე და სხვა მისთ.;

გ) სასწრაფო და ოპერატიული გადაწვეტა ყველა იმ საკითხისა, რაც დაკავშირებულია თესვის წარმატებით ჩატარებასთან და მუშა-ძალის წესიერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაგეგმვისა და გამოყენებისა, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის და საწევი ძალის აღრიცხვის და წესიერად გამოყენებისა, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის რემონტისა და სათესლე ფონდების დაგროვების გარშემო განსაკუთრებული ყურადღების მობილიზაციასთან;

დ) კოლექტიური მეურნეობებისათვის რეალური დახმარების გაწევა—კოლექტიურ მეურნეობებზე სოფლის კულტურული ძალების (მასწავლებელი, აგრონომი, მექანიკი) მიმაგრებით; აგრეთვე დახმარების გაწევა კოლექტიური მეურნეობების მიერ საწარმოო-საფინანსო გეგმების შედგენაში, შრომის ორგანიზაციაში და კოლმეურნეთათვის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურეობის საქმის დაყენებაში; შემოწმება, საბჭოების სექციებისა და დეპუტატთა ჯგუფების მეშვეობით, კოლექტიურ მეურნეობებში მოძრავი სამზარეულოებების მზადყოფნისა და მინდვრად გასვლის ორგანიზაციისა კოლმეურნეთა მინდვრად მუშაობის დროს;

ე) აგროტექნიკურ ღონისძიებათა ჩატარებისა და თესვის დაწყების ვადების დაცვის შემოწმება—შემმოწმებელი ბრიგადებისა, სექციებისა, დეპუტატთა ჯგუფებისა და საკოლმეურნეო ბრიგადების სადეპუტატო პოსტების მეშვეობით, აგრეთვე ყოველდღე ცნობებისა და ანგარიშების მოსმენით და თვით სასოფლო საბჭოების უშუალო გასვლით მინდვრად, თანაც მუშაობის ადგილზევე პრაქტიკულ გადაწყვეტილებათა მიღებით ყველა შემჩნეული ნაკლის თავიდან ასაცილებლად და თესვისა და სხვა მისთ. თავის დროზე და სრულად ჩატარების უზრუნველსაყოფად.

IV. ამიერკავკავსიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი აფრთხილებს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და სასოფლო საბჭოებს, რომ უკეთუ ისინი სამომზადებლო ღონისძიებათა და თესვის გეგმის აღსრულებაში მოახდენენ რაიმე გარღვევას ან არ განახორციელებენ ამ ღონისძიებებს დადგენილ ვადებზე,—ეს გაგებული იქნება ისე, რომ მათ არა სურთ ან უნარი არა აქვთ გაატარონ პარტიის გენერალური ხაზი, ე. ი. გაგებული იქნება როგორც უცუდესი სახე ოპორტუნიზმისა. ის სასოფლო საბჭო, რომელიც ვერ მოახერხებს თავის დროზე და ბოლშევიკურად გარდაქმნას თავისი რიგები, რომელიც ვერ მოახერხებს წინააღუდგეს ულმობელად კულაკურ აგიტაციას და ყოველგვარ ოპორტუნისტულ სულისკვეთებას, განიხილება როგორც კულაკის მოდამქაზე სასოფლო საბჭო, რომელმაც უღალატა მუშათა კლასს.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ა. ანანიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **გ. სულთანოვი.**

1933 წ. იანვრის 27.
ტფილისი.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა.

26. „1933 წლის საგაზაფხულო თესვის მომზადებისა და გაშლის ხაზით სასოფლო საბჭოების მასსური დათვალიერების ჩატარების თაობაზე“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1933 წლის იანვრის 7-ის დადგენილების ტექსტში შესწორებების შეტანის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

„1933 წლის საგაზაფხულო თესვის მომზადებისა და გაშლის ხაზით სასოფლო საბჭოების მასსური დათვალიერების ჩატარების შესახებ“ გამოცემულ ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1933 წლის იანვრის 7-ის დადგენილების ტექსტში შეტანილ იქნეს შემდეგი შესწორება:

1. სიტყვა „დათვალიერება“ შეიცვალოს სიტყვებით: „სასოფლო-სამეურნეო კამპანიის მომზადებისა და ჩატარების საქმეში სასოფლო საბჭოებისათვის დახმარების გაწევის კამპანია“.

2. მე-II კარში „ამიერკავკასიის შტაბი“ შეიცვალოს სიტყვებით „ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ამიერკავკასიის კომისია“.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ა. ანანიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **გ. სულთანოვი.**

1933 წ. იანვრის 18.
ტფილისი.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა.

27. სოფლად მუშაობისათვის საქალაქო საბჭოებისა და სამრეწველო საწარმოების მიერ დახმარების გაწევის შესახებ.

ა/კსფსრ სოფლის მეურნეობის წინაშე მდგარი პასუხსაგები ამოცანების გადაწყვეტა მთავრობისა და პარტიის დირექტივების (სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის იანვრის პლენუმის) საფუძველზე მოითხოვს არა მარტო სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლო ორგანოებისა, არამედ აგრეთვე, თვალსაჩინო სახით, საქალაქო საბჭოთა ორგანოებისა და დიდრონ სამრეწველო საწარმოთა ძალების მობილიზაციას და დაძაბულ და გარკვეულ მუშაობას სოფლისათვის დახმარების გაწევის საქმეში.

ქალაქის მიერ სოფლისათვის აღნიშნული დახმარების გაწევის უზრუნველყოფის მიზნით ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

I. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს:

ა) დააკისრონ საქალაქო საბჭოებს—გაუწიონ ადგილებს სისტემატიური და აქტიური დახმარება წინამდგომარე საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის მომზადების და ჩატარებისა და აგრეთვე სასოფლო მეურნეობის შემდგომი განვითარების და სოციალისტურად გარდაქმნის დამთავრების საქმეში;

ბ) შეიმუშაონ ერთი დეკადის ვადაზე და მიაწოდონ საქალაქო საბჭოებს პრაქტიკული დირექტივები საქალაქო საბჭოების მიერ სოფლისათვის გასაწევი დახმარების ფორმებისა და მეთოდების შესახებ, კერძოდ გაითვალისწინონ:

1) თვითეულ საქალაქო საბჭოზე თითო სასოფლო-სამეურნეო რაიონის (უპირატესად ჩამორჩენილთა შორის) მიმაგრების სისტემა, მიმაგრებული რაიონის მდგომარეობისათვის პასუხისმგებლობის, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტთან ერთად, აგრეთვე საქალაქო საბჭოსათვის დაკისრებით;

2) დროებითი და მუდმივი მუშაობისათვის სოფლად საუკეთესო ნაცადი კადრების შერჩევა და გაგზავნა სხვადასხვა სპეციალობის მიხედვით;

3) ცალკეულ კოლექტიურ მეურნეობათა სადეპუტატო ჯგუფების დიდრონ სამრეწველო საწარმოთა სადეპუტატო ჯგუფებზე მიმაგრების სისტემა, ამ უკანასკნელთათვის, სხვა სათანადო ორგანოებთან ერთად, პასუხისმგებლობის დაკისრებით უწყებული კოლექტიური მეურნეობის საერთო მდგომარეობისათვის;

4) საქალაქო საბჭოებისა და სამრეწველო საწარმოთა სადეპუტატო ჯგუფების ძირითადი ამოცანებია:

ა) ყველა საბჭოთა ორგანოს (ცენტრალური, სარაიონო და სასოფლო) სიფხიზლის გაძლიერება კულაკურ წინააღმდეგობასთან, საბოტაჟთან და გავლენასთან და მავნებლებთან, საკოლმეურნეო ქონების მტაცებლებთან და ყოველგვარ ანტისაბჭოთა ელემენტებთან (მენშევიკები, დაშნაკები და მუსავატისტები) ბრძოლის საქმეში;

ბ) კოლექტიური მეურნეობებისა, საბჭოთა მეურნეობებისა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისათვის დახმარების გაწევა წარმოებისა და შრომის აღრიცხვისა, ანგარიშგებისა და კონტროლის წესიერი ორგანიზაციის საქმეში და აგრეთვე მანქანების მოვლა-დაცვისა (რემონტი) და სამანქანო ტექნიკის შემდგომი განვითარების და დაუფლების საქმეში;

გ) დიდრონ საწარმოთა და ტრანსპორტის სადეპუტატო ჯგუფების მეშვეობით უზრუნველყოფა სასოფლო მეურნეობასთან დაკავშირებული შეკვეთების და განაცხადების თავის დროზე და კეთილსინდისიერად შესრულებისა, კერძოდ —საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის ჩატარებასთან დაკავშირებული შეკვეთების და განაცხადებისა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა, სასოფლო საბჭოებისა, საბჭოთა მეურნეობებისა, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისა და ინდივიდუალური მეურნეობებისათვის წინამდგომარე საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის ჩატარების საქმეში დახმარების აღმოსაჩენად საჭირო მუშაობის კონკრეტული ოპერატიული გეგმის დამუშავება;

ე) კოლექტიურ მეურნეობებსა, საბჭოთა მეურნეობებსა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს შორის გამოცდილების გაცვლა-გამოცვლის მოწყობა.

II. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—აცნობონ ორი დეკადის ვადაზე ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს ამა დადგენილების განხორციელებისათვის მათ მიერ მიღებული ღონისძიებანი.

III. ამიერკავკისიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებამ უნდა იქონიოს მუდმივი მეთვალყურეობა ადგილებზე ამა დადგენილების რეალიზაციის მსვლელობისათვის.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ა. ანანიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **გ. ხულთანოვი.**

1933 წ. თებერვლის 8.
ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

28. 1933 წლისთვის მებამბეობის სფეროში საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

პირველი ხუთწლედის შედეგად ა/კსფსრ მებამბეობას აქვს დიდი წარმატებანი როგორც ნათესი ფართობის გადიდების სფეროში, ისე ნედლი ბამბის საერთო პროდუქციის ზრდაში.

სოციალისტური სექტორი გახდა ბამბის ძირითადი მწარმოებელი—ბამბის პროდუქციის 80%-დე იძლევიან საბჭოთა მეურნეობები და კოლექტიური მეურნეობები.

მოწყობილია 28 საბამბე სამანქანო-სატრაქტორო სადგური 16.000 ცხენის ძალისაზე მეტძალიანი სატრაქტორო პარკით.

ამასთან ერთად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო აღნიშნავს, რომ წარსულში ა/კსფსრ მებამბეობის განვითარების ძირითადი ნაკლი იყო სრულიად არასაკმარისი ყურადღება მოსავლიანობის გადიდებისათვის წარმოებული ბრძოლის საკითხებისადმი. საჭიროა 1933 წელს ძირითადი გარდატეხის მოხდენა ბამბის მოსავლიანობის გადიდების საქმეში.

საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანია 1933 წელს ჩატარებულ უნდა იქნეს თვისებრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის გაშლილი ბრძოლის ნიშანქვეშ და პირველყოვლისა საბამბე მიწების მოსავლიანობის გადიდებისათვის.

ამისდამიხედვით ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ბამბის ნათესის ფართობი 1933 წელს ა/კსფსრ-ში განისაზღვროს 235.000 ჰექტარით, შემდეგი განაწილებით:

	სულ ათას ჰექტარობით	საბჭ. მეურნ.	სახელშეკრ. სექტორი
აზერბაიჯანის სსრ	191,2	11,0	180,2
სომხეთის სსრ	25,8	0,3	25,5
საქართველოს სსრ	18,0	1,5	16,5
ა/კსფსრ	235,0	12,8	222,2.

აქედან ეგვიპტური ბამბა: აზერბაიჯანის სსრ-ში—არა ნაკლებ 25.000 ჰექტარისა; აქედან: საბჭოთა მეურნეობებში—7.000 ჰექტარი და სახელშეკრულობო სექტორში—18.000 ჰექტარი.

2. ბამბის ნათესი ფართობი ცალკეულ საბჭოთა მეურნეობებზე დაყოფილ იქნეს შემდეგნაირად:

ყარა-ჭალა	4.000	ჰექტარი
მილის საბჭოთა მეურნეობა . .	7.000	„
კიროვის „ „	300	„
ყარაიას „ „	1.500	„

3. გადასარგავი კულტურის ბამბის ფართობი განისაზღვროს (ჰექტარობით):

რესპუბლიკა	საბჭ. მეურნ.	კოლ. მეურნ.	სულ
აზერბაიჯანის სსრ-ში	50	500	550
სომხეთის სსრ-ში	—	100	100
საქართველოს სსრ-ში . . .	30	—	30
ა/კსფსრ-ში	80	600	680

4. უზრუნველყოფილ იქნეს ბამბის მწკრივად თესვა 100%-ით მთლად საბჭოთა მეურნეობებისა და საკოლმეურნეო-საგლეხო სექტორის ფართობზე.

5. ჩატარებულ იქნეს საბამბე ფართობების გაპატიება: ა) მინერალური სასუქით 20.500 ჰექტარზე (აზერბაიჯანის სსრ-ში—14.200 ჰექტ., სომხეთის სსრ-ში 4.800 ჰექტ. და საქართველოს სსრ-ში—1.500 ჰექტ.); აქედან საბჭოთა მეურნეობებში—5.800 ჰექტ. (აზერბაიჯანის სსრ-ში—5.000 ჰექტ., სომხეთის სსრ-ში—300 ჰექტ. და საქართველოს სსრ-ში—500 ჰექტ.; ბ) ნაკელით—მინიმუმ 7.000 ჰექტარზე; აქედან: აზერბაიჯანის სსრ-ში—6.000 ჰექტ. და საქართველოს სსრ-ში—1.000 ჰექტ..

6. დაწესებულ იქნეს სავალდებულო დაფარცხვა ზამთრის არათის ყველა ფართობისა თესვის წინა-გადახვნამდე და ორჯერად შეთხელების ჩატარებამდე და არა ნაკლებ, ვიდრე სამი გამარგვლა და მწკრივთაშორისი კულტივაცია.

7. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებმა უნდა გაანაწილონ 5 დღის ვადაზე მიღებული ფართობები რაიონებზე და ამავე დროს განსაზღვრონ მექანიზაციის პროცენტი (სატრაქტორო მუშაობა) სამანქანო-სატრაქტორო სადგურებსა და საბჭოთა მეურნეობებში და მიაწვდინონ გეგმები რაიონებამდე და საბჭოთა მეურნეობებამდე.

აღსანიშნავია-რა დავალებათა არადამაკმაყოფილებელი შესრულება ზამთრისპირული ხვნისა და ზამთრის არათის ხაზით, თესლთაბრუნვაზე გადასვლის დაყოვნება, რაც ჩაშლის საფრთხესა ჰქმნის მიმდინარე წლის დავალებათა შესრულებისათვის მებამბეობის სფეროში,—ჩატარებულ იქნეს შემდეგი ღონისძიებანი, რამაც უნდა უზრუნველჰყოს ბამბის თესვის გეგმის შესრულება 1933 წელს.

1. საბამბე მასსივების განმზადება თესვისათვის.

1. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს:

1) დაავალონ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს და ტრაქტორცენტრებს—დაადგინონ სამანქანო-სატრაქტორო სადგურების სატრაქტორო პარკის მუშაობის ოპერატიული გეგმა ხუთდღიურობით, ზამთრისპირული ხვნის ყოველდღიური დავალების გეგმების სამანქანო-სატრაქტორო სადგურებამდე და ცალკეულ კოლექტიურ მეურნეობებამდე მიწვდენით, თანაც ისეთი ვარაუდით, რომ ზამთრისპირული ხვნის გეგმები მთლად შესრულებულ იქნეს არა უგვიანეს ა/წ. იანვრის 20-სა.

2) დაავალონ სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს და სარაიონო საადგილ-მამულო განყოფილებებს—გადაჭრით მოსპონ ცოცხალი საწევი ძალის შეუფასებლობა, რამაც თავი იჩინა ზამთრისპირული ხვნის ჩატარების დროს, ანგარიშში მიიღონ ბამბის გადაზიდვისაგან თავისუფალი მთელი ცოცხალი საწევი ძალა რაიონისა და შეადგინონ ცოცხალი საწევი ძალით ზამთრისპირული ხვნის კონკრეტული ოპერატიული გეგმა, ხვნის დღიური დავალების კოლექტიურ მეურნეობებამდე და სოფლებამდე მიწვდენით.

3) შეიმუშაონ ერთი დეკადის ვადაზე საგაზაფხულო საბამბე მუშაობის დაწვრილებითი გეგმა და დაადიფერენცირონ ყველა ღონისძიება და მუშაობის ვადა რაიონების თავისებურობათა შესაბამისად.

გეგმების შედგენის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს თესვისწინა და თესვის პერიოდის სამუშაოების მაღალ აგროტექნიკურ თვისებას, რამაც უნდა უზრუნველჰყოს დიდი მოსავლიანობა.

4) დაავალონ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებსა და ტრაქტორცენტრებს—უზრუნველჰყონ, საქმეში საკოლმეურნეო აქტივის ფართო ჩაბმით, საბამბე ხვნის სისტემატიური შემოწმება და აუცილებლად ხელახლად გადახნან ცუდად მოხნული ფართობები.

5) დაავალონ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებსა და ტრაქტორცენტრებს—მოაწყონ კოლექტიური მეურნეობების ეთხფეხი საქონლის საკვები რესურსების აღრიცხვა და უზრუნველჰყონ საფურაჟე ფონდების გამოყოფა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშა-საქონლისათვის ზამთრისპირული ხვნისა, გაზაფხულის ხვნისა და ბამბის თესვის პერიოდის განმავლობაში—არსებული რესურსების რაციონალური გამოყენებით.

2. ვინაიდან განსაკუთრებული სამეურნეო-პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს კოლექტიური მეურნეობების საწარმოო-საფინანსო გეგმების სისწორით შედგენას, რადგანაც ამ გეგმებით განისაზღვრება თვითოეული კოლექტიური მეურნეობის სამეურნეო საქმიანობის საფუძვლები და ეს გეგმები კონკრეტული პროგრამაა დიდი მოსავლიანობისა და კოლექტიური მეურნეობის სამეურნეო განმტკიცებისათვის ბრძოლისა,—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ავალებს საბჭოთა, საკოლმეურნეო და სამეურნეო ორგანიზაციებს--გაუწიონ კონკრეტული დახმარება კოლექტიურ მეურნეობებს ამ საწარმოო-საფინანსო გეგმების შედგენის საქმეში.

კოლექტიური მეურნეობებისა, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო-საფინანსო გეგმების შედგენა უნდა მიმდინარეობდეს როგორც ძირითადი მასსური სამეურნეო-პოლიტიკური კამპანია, საქმეში მთლად საკოლმეურნეო აქტივისა და ფართო საკოლმეურნაო მასსების მაქსიმალურად ჩაბმით; ამასთანავე, გეგმების შედგენა დამთავრებულ უნდა იქნეს კოლექტიურ მეურნეობებსა, საბჭოთა მეურნეობებსა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებში 1933 წ. თებერვლის 15-ს.

3. რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებმა უნდა დაავალონ:

1) მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებსა და ტრაქტორცენტრებს—დააჩქარონ ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის რემონტი სამანქანო-სატრაქტორო სადგურებსა, საბჭოთა მეურნეობებსა, კოლექტიურ მეურნეობებსა და ინდივიდუალურ მეურნეობებში—ისე, რომ მთელი სარემონტო მუშაობა დამთავრებულ იქნეს არა უგვიანეს ა/წ. მარტის 1-სა.

2) მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებსა და ტრაქტორცენტრებს—გამოიანგარიშონ ერთი დეკადის ვადაზე არსებული სათადარიგო ნაწილების რაოდენობა და განსაზღვრონ შესაძლებლობა ტრაქტორების და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის დანაკლი სათადარიგო ნაწილების დამზადებისა ადგილობრივი მრეწველობის მიერ, შეკვეთების ცალკეულ ორგანიზაციებზე განაწილებით, ხოლო სათანადო საწარმოთ დაავალონ ამ სათადარიგო ნაწილების ვადაზე დამზადება.

3) მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებსა და ტრაქტორცენტრებს—დაამყარონ, სპეციალურ კვალიფიციურ კონტროლიორ-მებრაკეთა მეშვეობით, თვითეულ სამანქანო-სატრაქტორო სადგურში სასტიკი კონტროლი ტრაქტორების და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის რემონტის თვისებისათვის თვით რემონტის პროცესშივე.

პასუხისმგებლობა რემონტის თავის დროზე და რიგიანად შესრულებისათვის დააკისრონ პერსონალურად სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს, ხოლო იმ რაიონებში, სადაც სამანქანო-სატრაქტორო სადგურები არ არის,—სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილებათა გამგეებს.

4) მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებსა და ტრაქტორცენტრებს—დაუყოვნებლივ შეუდგნენ მასსური კვალიფიკაციის კადრების (სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისა, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლექტიური მეურნეობების მომუშავეების) მომზადებას და გარდამზადებას და დაამთავრონ ეს არა უგვიანეს აპრილის 1-სა.

5) დაავალონ ბამბის დამმზადებელ ორგანიზაციებს და ტრაქტორცენტრებს—სასუქის შერევა ჩაატარონ შემსყიდველ პუნქტებზე კოლექტიური მეურნეობებისათვის დარიგებამდე.

4. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და სასოფლო მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის საკავშირო შენაერთის ამიერკავკასიის განყოფილებას—წარმოუდგინონ ორი დეკადის ვადაზე ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად ბამბის მავნებლებთან ბრძოლის სამუშაოების მოცულობა და აპარატურის რემონტის საკალენდრო გეგმა და აგრეთვე უზრუნველჰყონ თავის დროზე შხამების და დანაკლი აპარატურის შემოზიდვა.

5. „ზაგოტხლოპოკ"-ის ა/კ. კონტორამ, ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, არა უგვიანეს 1933 წ. თებერვლის 1-სა, უნდა წარმოუდგინოს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად 1933 წლის მოსავლის ბამბის კონტრაქტაციის შესახები დადგენილების პროექტი.

II. წყალსამეურნეო ღონისძიებანი.

1. ბამბის და იონჯისათვის განსაზღვრული ფართობების სარწყავი წყლით უზრუნველსაყოფად წინადადება მიეცეს რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—დაავალონ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს, წყალთა მეურნეობის სამმართველოებს და ტრაქტორცენტრებს:

1) მიღებული ფართობების რაიონებზე განაწილებისა და მათ შესახებ ადგილებზე საკითხის განხილვის დროს უზრუნველჰყონ ამ ფართობების სრული შესაბამება არსებულ სარწყავ რესსურსებთან, სხვა საგაზაფხულო კულტურებისა და მრავალწლიანი ნარგავების ანგარიშში მიღებით, და პირველ რიგში უზრუნველჰყონ ბამბის ნათესი ფართობები.

2) უზრუნველჰყონ რაიონებში კულტურების მორწყვის დაწვრილებითი საკალენდრო გეგმების შედგენა არა უგვიანეს 1933 წ. მარტის 15-სა და ამ გეგმების ცალკეულ სოფლებამდე და კოლექტიურ მეურნეობებამდე მიწვდენა.

3) ყოველი ღონისძიებით დააჩქარონ სარაიონო წყალსამეურნეო სამმართველოებისა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მიერ ზამთრის არათისათვის დადგენილი გეგმების აღსრულება—ისე, რომ იგი აუცილებლად დამთავრებულ იქნეს არა უგვიანეს 1933 წ. თებერვლის 1-სა.

2. ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა, სრულიად საკავშირო წყალსამ. სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის ამიერკავკასიის განყოფილებისა და ამიერკავკასიის მებამბეობის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანაწილეობით, უნდა განსაზღვროს ორი დეკადის ვადაზე ბამბისა და იონჯის მორწყვის საორიენტირო სარაიონო ნორმები და ვადები და მიაწოდოს იგი რესპუბლიკებს.

3. რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებმა უნდა ჩაატარონ 1933 წლის თებერვლის 15-დან მარტის 15-დე (რაიონებზე დიფერენციაციით) სარწყავი სისტემების გაწმენდისა და წყალგანმანაწილებელი ქსელის მორწყვისათვის განმზადების თვიური. რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებმა, წყალთა მეურნეობის სამმართველოებთან და ტრაქტორცენტრებთან ერთად, უნდა შეიმუშაონ, არა უგვიანეს 1933 წ. თებერვლის 5-სა, სისტემების გაწმენდის თვიურის ჩატარების კონკრეტული გეგმა და უზრუნველჰყონ გეგმების ფართოდ განხილვა კოლექტიურ მეურნეობებში და ღარიბ და საშუალო მეურნეობებს შორის.

4. წყალსაქანთა რემონტის დამთავრებისა და სავსებით განმზადების ვადად დადგენილ იქნეს 1933 წ. მარტის 20.

აზერბაიჯანის სსრ სახალხო კომისართა საბჭომ უნდა დაავალოს იმ საწარმოთ და ორგანიზაციებს, რომელნიც ასრულებენ მექანიკური გაწყობილობის რემონტის შეკვეთებს, მტკიცედ დაიცვან რემონტის დამთავრებისათვის დანიშნული ვადები და უზრუნველჰყონ რემონტის მაღალი თვისება; ამავე დროს აღნიშნულმა სახალხო კომისართა საბჭომ წინადადება უნდა მისცეს საწარმოთა საპროფკავშირო ორგანიზაციებს—გაუწიონ განსაკუთრებული მეთვალყურეობა წყალსამეურნეო სამუშაოებისათვის მიცემული შეკვეთების აღსრულებას.

5. სარწყავი სისტემების წვრილი და უწვრილესი ქსელის მექანიზირებული მეურნეობისათვის მოსაგვარებლად საჭირო სამუშაოების მოცულობა (სარწყავი რუკების გადიდება) 1933 წლის გაზაფხულისათვის განისაზღვროს არა ნაკლებ, ვიდრე 40.000 ჰექტარ ფართობზე; აქედან: აზერბაიჯანის სსრ-ში—27.000 ჰექტ., სომხეთის სსრ-ში—8.000 ჰექტ. და საქართველოს სსრ-ში—5.000 ჰექტ.; დაევალოს რესპუბლიკების ტრაქტორცენტრებს—დაამთავრონ ეს მუშაობა არა უგვიანეს 1933 წ. აპრილის 10-სა.

რესპუბლიკების წყალთა მეურნეობის სამმართველოებმა უნდა გაუწიონ ტრაქტორცენტრებს ამ მუშაობაში ტექნიკური დახმარება.

6. რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებმა უნდა დაავალონ:

1) მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს—მოაწყონ ა/წ. მარტის 10-სა და 25-ს შუა სპეციალური კომისიების მიერ შემოწმება და მიღება შესრულებული წყალსამეურნეო სამუშაოებისა და სისტემების მზადყოფნისა მორწყვის ჩასატარებლად.

შემოწმებისა და მიღების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შესრულებული სამუშაოების თვისებას.

2) წყალთა მეურნეობის სამმართველოებსა და ტრაქტორცენტრებს—მოაწყონ არა უგვიანეს 1933 წ. თებერვლის 1-სა მოკლევადიანი კურსები სისტემების ექსპლოატაციის დარგის ტექნიკური და ქვედა პერსონალის გარდამზადებისათვის; მორწყვის დაწყებისათვის თვითეული კოლექტიური მეურნეობის შიგნითვე მომზადებულ უნდა იქნეს მერწყულთა ჯგუფი კოლმეურნეთაგან, ისეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაოდენობით, რაც საკმარისი იქნება თვითეული კოლექტიური მეურნეობის ნათესების მოსარწყავად.

III. თესლთბრუნვა და საბამბე მასხივების მიმაგრება.

1. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს—„კოლექტიური მეურნეობების მყარი მიწათსარგებლობის შექმნის შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. სექტემბრის 3-ის დადგენილების შესაბამისად, დაამთავრონ ა/წ. მარტის 1-თვის მიწის მასსივების მტკიცე მიმაგრება კოლექტიურ მეურნეობებზე.

2. რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებმა და ტრაქტორცენტრებმა უნდა დაამტკიცონ ერთი დეკადის ვადაზე ტიპური თესლთბრუნვანი საბამბე რაიონებში და მოაწყონ მათი ფართო განხილვა და დამუშავება რაიონებსა და კოლექტიურ მეურნეობებში; თანაც უზრუნველჰყონ მიმდინარე წლის გაზაფხულიდან თესლთბრუნვაზე პრაქტიკულად გადასვლა.

3. მიმდინარე წლის გაზაფხულზე საბამბე რაიონების კოლექტიურ მეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში იონჯის თესვის დავალება განისაზღვროს შემდეგი რაოდენობით:

რესპუბლიკები	**ჰექტარი**
აზერბაიჯანის სსრ-ში	16.000
სომხეთის სსრ-ში	5.500
საქართველოს სსრ-ში	5.500
ა/კსფსრ-ში	27.000

რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებმა და „სოიუზსემენოვოდის“ განყოფილებებმა უნდა უზრუნველჰყონ საჭირო რაოდენობის იონჯის შემოზიდვა და განაწილება არა უგვიანეს 1333 წ. აპრილის 1-სა.

IV. ეგვიპტის ბამბისათვის.

აზერბაიჯანის სსრ სახალხო კომისართა საბჭომ უნდა დაავალოს:

1. აზერბაიჯანის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, აზერბაიჯანის მებამბეობის კომიტეტთან და ტრაქტორცენტრთან ერთად, ა/კ. მებამბეობის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტისა და აგრონომი კრემლიოვას მონიწილეობით, ჩაატაროს ერთი დეკადის ვადაზე ეგვიპტის ბამბის ფართობების რაიონებზე დანაწილება თესვისათვის დადგენილი ფართობების შესაბამისად და, აზერბაიჯანის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცების შემდეგ, დაუყოვნებლივ მიაწვდინოს იგი რაიონებამდე.

2. აზერბაიჯანის სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, აზერბაიჯანის მებამბეობის კომიტეტს და ტრაქტორცენტრს—განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ეგვიპტის ბამბისათვის ნაკვეთების შერჩევას და უზრუნველ-

ჰყონ სავსებით გამოყოფილი ნაკვეთები ზამთრისპირული ხვნით და ზამთრის არათით.

3. აზერბაიჯანის მებამბეობის კომიტეტს და ტრაქტორცენტრს—მოაწყონ 1933 წ. თებერვლის 15-თვის ა/კ. მებამბეობის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტთან მოკლევადიანი კურსები ეგვიპტის ბამბისათვის აგრონომებისა და აგროტექნიკოსების გარდასამზადებლად.

4. მიწათაოქმედების სახალხო კომისარიატს—განსაზღვროს 1933 წ. თებერვლის 1-თვის რაიონული ასპექტით აგროტექნიკური ღონისძიებანი ეგვიპტური ბამბის კულტურისათვის, რაიონის თავისებურობის ანგარიშში მიღებით, და უზრუნველჰყოს ამ ღონისძიებათა ფართო განბჭობა კოლექტიურ მეურნეობებსა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებში.

V. საბჭოთა მეურნეობებისათვის.

1. რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებმა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებმა, რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატებთან ერთად, უნდა შეიმუშაონ მუშა-ძალის ბალანსი საბამბე კამპანიის ყველა ეტაპისათვის (ხვნა, არათი, დამუშავება) და აგრეთვე ღონისძიებანი საბჭოთა მეურნეობებისათვის მუდმივი კადრების შესაქმნელად; თანაც, დაუყოვნებლივ, გაშალონ მასსური მუშაობა მუშა-ძალის მოგროვებისა და კოლექტიურ მეურნეობებთან ხელშეკრულობების დადებისათვის, რომლებშიაც ზედმიწევნით განსაზღვრულ უნდა იქნეს მუშა-ძალის საბჭოთა მეურნეობებში მისვლისა და დარჩენის ვადები, სამუშაო ხელფასი და მუშაობის მატერიალური და საყოფაცხოვრებო პირობები.

2. დაევალოს საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს—აწარმოონ სამინდვრე და საბოსტნე კულტურების თესვა, რამაც უნდა უზრუნველჰყოს საბჭოთა მეურნეობების საჭიროება პურეული პროდუქტებისა და ბოსტნეულისადმი ამ მეურნეობების მუშების და მოსამსახურეების მოსამარაგებლად.

3. რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებმა უნდა უზრუნველჰყონ საბჭოთა მეურნეობებში ზაფხულის პერიოდისათვის მუშათა სადგომების მშენებლობის დამთავრება 1933 წ. მაისის 10-თვის და საბჭოთა მეურნეობების ყველა ხუტორზე სამედიცინო პუნქტების გაწყობა.

4. წინადადება მიეცეს აზერბაიჯანის სსრ-სა და სომხეთის სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოებს—უზრუნველჰყონ კიროვის არხისა და ორჯონიკიძის სახელობის არხის მშენებლობისათვის საჭირო სამუშაოების დამთავრება ა/წ. მარტის 15-თვის ისეთი ოდენობით, რაც აუცილებელია კიროვისა და მილლის საბჭოთა მეურნეობებში დასათესად დანიშნული ფართობების საგაზაფხულო და საზაფხულო დაუცადებელი მორწყვისათვის.

VI. მეთესლეობისა და სათესლე მასალის შესახებ.

1. წინადადება მიეცეს რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს—წარუდგინონ ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, არა უგვიანეს ა/წ. თებერვლის 1-სა, 1933 წლის ბამბის თესლის დარაიონების გეგმები.

ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა უნდა განიხილოს და დაამტკიცოს ეს გეგმები არა უგვიანეს ა/წ. თებერვლის 5-სა.

2. წინადადება მიეცეს მებამბეობის სახელმწიფო ინსტიტუტს—დაამთავროს და წარუდგინოს ა/წ. თებერვლის 1-თვის ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს დაწვრილებითი ანგარიში 1933 წელს დათესისათვის გამოსაყენებლად გამოყოფილი საბამბე თესლის თვისებისა და რაოდენობის შესახებ.

3. დაევალოს „ზაგოტხლოპოკის“ ა/კ. განყოფილებას—სათესლე ნედლეულის გაწმენდა დაამთავროს არა უგვიანეს ა/წ. თებერვლის 15-სა, ხოლო თესლის შემსყიდველ პუნქტებზე წარგზავნა ბამბის მთესველთათვის დასარიგებლად—არა უგვიანეს ა/წ. მარტის 15-სა და იხმაროს უაღრესად მკვეთრი ღონისძიებანი როგორც ამერიკული, ისე ეგვიპტური გაწმენდილი ბოტანიკური ჯიშების თესლის შეურევლობისათვის, ამ თესლის სათანადოდ შენახვის უზრუნველყოფით; ა/კ. მებმბეობის სახელმწიფო ინსტიტუტმა უნდა დაამყაროს რეგულარული კონტროლი თესლის წესიერად შენახვისა და ბამბის ხარისხების ქარხნული წესით გაწმენდისათვის.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო მოითხოვს ყველა საბჭოთა, საკოლმეურნეო და სამეურნეო ორგანიზაციისაგან ულმობელად დასძლიოს კულაკური წინააღმდეგობა და საბოტაჟი ბამბის დიდი მოსავლის უზრუნველმყოფ ღონისძიებათა ჩატარებაში, ამხილოს კოლექტიურ მეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შეპარული კულაკური ელემენტები და ამით ორგანიზაციულად, მეურნეობრივად და პოლიტიკურად განამტკიცოს კოლექტიური მეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი, აამაღლოს სამანქანო-სატრაქტორო სადგურების როლი და მოახდინოს მუშათა, კოლმეურნეთა და ღარიბ და საშუალო მეურნეთა ფართო მასსების მობილიზაცია მებამბეობის 1933 წლის გეგმის ყველა დაჩვენებლის აღსრულებისათვის.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1933 წ. იანვრის 13.
№ 506.
ტფილისი.

ბარ. ... ... საქ. საბჭ. ... ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

29. არამარცვლეული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების ორგანიზაციისა და ადგილებზე საკონვენციო ბიუროების მუშაობის შესახებ.

„არამარცვლეული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების ორგანიზაციისა და ადგილებზე საკონვენციო ბიუროების მუშაობის შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. დეკემბრის 25-ის დადგენილების საფუძველზე და ამ დადგენილების ზედმიწევნით განხორციელებისათვის ამიერკავკასიის პირობების მიხედვით—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. რესპუბლიკებში არსებულ საკონვენციო ფასებს შორის თვალსაჩინო განსხვავების თავიდან აცილების მიზნით წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის დამმზადებელთა კონვენციას დააწესოს ხოლმე განსაზღვრული ვადით დეცენტლიზებული წესით დასამზადებელ ძირითად პროდუქტებზე მაქსიმალური სალიმიტო ფასები ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი ცალკეული რესპუბლიკისათვის.

2. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის დამმზადებელთა კონვენციას—შეავსოს ამიერკავკასიის კონვენცია დიდრონი დამმზადებელი ორგანიზაციებით, რომელთაც ა/კსფსრ ფარგლებში აქვთ დეცენტრალიზებული წესით დამზადების უფლება.

3. „დამზადებელთა კონვენციების მუშაობისა და შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულთა ადგილობრივი ორგანოების შესახებ“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. აგვისტოს 25-ის დადგენილების დასამატებლად წინადადება მიეცეს რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს, სასოფლო-სამაურნეო პროდუქტების დამზადებისათვის საერთო საორგანიზაციო და უშუალო ოპერატიული ხელმძღვანელობის გაწევის უზრუნველყოფის მიზნით, დაამტკიცონ ხუთი დღის ვადაზე უაღრესი მნიშვნელობის მქონე დამზადების რაიონების სია, შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულთა (რესპუბლიკებში) წარდგენით, და თვითეულ ამ რაიონში გამოჰყონ სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, სხვა საქმისაგან განთავისუფლებული, რომელიც სპეციალურ გამგებლობას გაუწევს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების (ცენტრალიზებულ და დეცენტრალიზებულ) დამზადებას რაიონში, მისთვის შემდეგ მოვალეობათა დაკისრებით:

ა) რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებისა და შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულების დადგენილებათა საფუძველზე სარაიონო გეგმების შედგენა და სასოფლო საბჭოებისა, კოლექტიური მეურნეობებისა და სხვა მისთ. ხაზით სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების გეგმების აღსრულების საკალენდრო ვადების განსაზღვრა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამმზადებელთა საკონვენციო ბიუროების მუშაობისათვის უშუალო ხელმძღვანელობის გაწევა; ყველა დამმზადებელი ორგანიზაციის მიერ შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულთაგან დადგენილი დამზადების ყველა წესის და რიგის აღსრულებისათვის მეთვალყურეობის გაწევა;

გ) სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებისათვის დადგენილი წესის და რიგის (ფასები და სხვ.) დარღვევაში დამნაშავე პირთა პასუხისგებაში მიცემა.

4. წინადადება მიეცეს შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებულ დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულთ რესპუბლიკებში:

ა) მიუშვან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების, მეცხოველეობის პროდუქტების თანჩართვით, დამზადებაზე რესპუბლიკების რაიონებში ცენტრალური დამმზადებელი ორგანიზაციები (არაადგილობრივი) მხოლოდ შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული დამზადებათა კომიტეტის სპეციალური დადგენილებების მიხედვით, რომლებსაც უნდა ჰქონდეს შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულის (ა/კსფს სკს-თან) ვიზა;

ბ) ყარუდგინონ შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული დამმზადებათა კომიტეტის რწმუნებულს ა/კსფსრ სკს-თან დეკადობით რაიონებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებაზე მიშვებული ორგანიზაციების ნუსხები, იმის აღნიშვნით, თუ რა რაიონებში და რა პროდუქტების დმამზადებაზე არიან მიშვებულნი ეს ორგანიზაციები.

5. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიისა და რესპუბლიკანურ დამზადებელთა კონვენციებს—მტკიცედ იხელმძღვანელონ თავიანთი მუშაობისათვის სსრკ-ის სახალხო კომისარიატის 1932 წ. დეკემბრის 2-ის დადგენილება.

6. წინადადება მიეცეს შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულთ რესპუბლიკებში—მოიწვიონ ა/წ. იანვარში სარაიონო კონვენციების ხელმძღვანელთა რესპუბლიკანური თათბირები ამ ხელმძღვანელთა ინსტრუქტაჟისათვის. სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. დეკემბრის 25-ის დადგენილებისა და ამა დადგენილების საფუძველზე.

7. წინადადება მიეცეს შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულს აზერბაიჯანის სსრ სკს-თან—განახორციელოს უშუალო ხელმძღვანელობა დამმზადებელთა კონვენციების მუშაობისათვის.

8. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს, შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულთან (ა/კსფსრ სკს-თან) ერთად, შეიმუშაოს ერთი დეკადის ვადაზე, სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. დეკემბრის 25-ის დადგენილების საფუძველზე, შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული დამზადებათა კომიტეტის სისტემის სარაიონო რგოლეულის შესანახად საჭირო ხარჯების 1933 წლის ხარჯთაღრიცხვა და ამ ხარჯების თანხა დააკისროს რესპუბლიკების ადგილობ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რივ ბიუჯეტს, წინასწარ ამ ხარჯების თანხის ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთვის დასამტკიცებლად წარდგენით.

9. წინადადება მიეცეს შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულს ა/კსფსრ სკს-თან—შეამოწმოს ერთი თვის ვადაზე შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული დამზადებათა კომიტეტის რესპუბლიკანურ რწმუნებულთა მიერ ამა დადგენილების აღსრულება და შემოწმების შედეგების შესახებ წარმოუდგინოს მოხსენება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

10. მიენდოს ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციას—დააკისროს რესპუბლიკების მუშათა და გლეხთა ინსპექციასთან არსებულ ფასების ინსპექციას სპეციალური კონტროლი დადგენილი საკონვენციო ფასების დამმზადებელი ორგანიზაციების მიერ დაცვისათვის და აგრეთვე საქალაქო აღმასრულებელი კომიტეტების მომარაგების განყოფილებებთან არსებული საკონვენციო ბიუროს გასაყიდი ფასების მოვაჭრე ორგანიზაციების მიერ დაცვისათვის.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1933 წ. იანვრის 13.
ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

30. 1933 წელს ა/კსფსრ-ში რძისა და რძის პროდუქტების დამზადების გეგმის შესახებ.

სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1932 წ. დეკემბრის 9-ის დადგენილებისა და სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. დეკემბრის 20-ის დადგენილების (სსრკ კან. კრ. 1932 წ. 82 №-ი, მუხ. 500) შესაბამისად—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. 1933 წელს მისაღები (დამზადებით) რძისა, კარაქისა და ყველის გეგმა, რაც ა/კსფსრ-თვის არის დადგენილი ცენტრალიზებული რესსურსების ანგარიშისამებრ, საბჭოთა მეურნეობებისა და სამომხმარებლო კოოპერაციის საგარეთუბნო მეურნეობების პროდუქციის ჩაუთვლელად, განაწილებულ იქნეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებზე შემდეგი რაოდენობით:

(ტ ო ნ ნ ო ბ ი თ)

	ერბო და ქარხნის კარაქი	ყველი	მოუხდელი რძე
აზერბაიჯანის სსრ . . .	400	200	2.000
სომხეთის სსრ	250	400	800
საქართველოს სსრ . . .	350	900	1.200

შემოსასვლელი პროდუქტები დაყოფილ იქნეს დამმზადებელთა სისტემებზე:

	კარაქი	ყველი	მოუხდ. რძე
„სოიუზმასლოს“ მრეწვ. . .	450	1.200	—
ბაქოს მეთევზ. ტრესტი . .	100	—	—
ა/კ. სამომხმ. კოოპ. კავშირი	450	300	4.000

2. დაევალოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—წარმოუდგინონ ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. თებერვლის 1-თვის ყველა ცნობა რესპუბლიკაში სახელმწიფოებრივი დამზადების წესით მისაღები რძისა და რძის პროდუქტების რაოდენობის შესახებ ერთიანად, ჩაბარებულ ვალდებულებათა საფუძველზე, სარაიონო და სასექტორო ასპექტით.

3. მიენდოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—ხუთი დღის ვადაზე:

ა) დაადგინონ მოუხდელი რძის რაიონების ნუსხა;

ბ) გაანაწილონ რაიონები დამმზადებელთა ცალკეულ სისტემებს შორის;

გ) გააზუსტონ დამზადების გეგმის (მუხ. 1) დაყოფა დამმზადებელთა სისტემების მიხედვით;

დ) დაამტკიცონ და გამოაქვეყნონ რძეში ცხიმის შემცველობის რაიონობითი ნორმები ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკებისათვის დადგენილი საშუალო ნორმის—3,9%—კვალობაზე.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1933 წ. იანვრის 13.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

31. ამიერკავკასიის სარკინისგზო ტრანსპორტის მომუშავეებისათვის, მეურნეობის მოსაწყობად, მიწის ფართობების მიჩენის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ამიერკავკასიის სარკინისგზო ტრანსპორტის მომუშავეების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის, განსაკუთრებით სამინდვრე ნაკვეთების რაიონებში მდებარე სარკინისგზო სადგურებისა, წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს:

1. დაავალონ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს—უზრუნველჰყონ აღნიშნული მომუშავენი საჭირო მიწის ნაკვეთებით განთვისების ზოლის გარეშე, მეურნეობის მოსაწყობად (ბოსტანი, ნათესი და სხვა მისთ.).

2. მიენდოს მუშათა და გლეხთა ინსპექციას თვალყური ადევნოს ამა დადგენილების აღსრულებას.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1933 წ. იანვრის 13.
ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს

32. ამიერკავკასიის ტრაქტორცენტრის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

თანხმობით მიღებულ იქნეს სსრკ-ის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის 1932 წ. დეკემბრის 19-ის გადაწყვეტილება ამიერკავკასიის ტრაქტორცენტრის სსრკ-ის საბამბე ტრაქტორცენტრის წარმომადგენლობად (ა/კსფსრ-ში) რეორგანიზების შესახებ, საკონტროლო-საინსპექტორო და საგეგმო ფუნქციებით და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისა და სამანქანო-სათიბი სადგურების სექტორის უფლებებით ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაეკისროს ამ წარმომადგენლობას აგრეთვე საქართველოს ტრაქტორცენტრის მუშაობისათვის ხელმძღვანელობის გაწევა.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1933 წ. იანვრის 13.
ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

33. სარეწაო კოოპერაციის კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული სარეწაო კოოპერაციისა და შინამრეწველობის კომიტეტის დებულება ქვემომდევნო რედაქციით.

2. აღნიშნული დებულების სამოქმედოდ შემოღებისთანავე ჩაითვალოს ძალადაკარგულად მე-2—6 მუხლები ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. აგვისტოს 10-ის დადგენილებისა „ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან სარეწაო კოოპერაციისა და შინამრეწველობის კომიტეტის მოწყობის შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. მე-15 №-ი, მუხ. 167).

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1933 წ. იანვრის 13.
ტფილისი.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული სარეწაო კოოპერაციის და შინამრეწველობის კომიტეტის შესახებ.

1. ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული სარეწაო კოოპერაციისა და შინამრეწველობის კომიტეტი ანხორციელებს ა/კსფსრ ფარგლებში სარეწაო კოოპერაციისა და შინამრეწველობის საერთო ხელმძღვანელობას და

ხელს უწყობს მათ განმტკიცებას და განვითარებას; უთანხმებს მათ მუშაობას სახალხო მეურნეობის ერთიან გეგმას; სწყვეტს დავას უწყებათა შორის სარეწაო კოოპერაციისა და შინამრეწველობის მუშაობასთან დაკავშირებული საკითხების გამო—იმ პირობით კი, რომ დავაში მონაწილეობას იღებდეს ფედერატიული მნიშვნელობის თუნდაც ერთი უწყება, და თვალყურს ადევნებს აღნიშნული საკითხების შესახები ა/კსფსრ-ისა და სსრკ-ის მთავრობათა დადგენილებების განხორციელებას.

2. კომიტეტს ეკისრება:

ა) შეიმუშაოს სარეწაო კოოპერაციისა და შინამრეწველობის ცალკეული დარგების შესახები ძირითადი პრობლემები და საკითხები და შეისწავლოს მათი ეკონომიკა;

ბ) მისცეს კონკრეტული დირექტივები, პარტიისა და მთავრობის ძირითადი დირექტივების განსავითარებლად, სარეწაო კოოპერაციისა და ინვალიდთა კოოპერაციის მოქმედების მიმართულებით და შეიმუშაოს და განახორციელოს შინამრეწველობის მუშაობის ხელისშემწყობი ღონისძიებანი;

გ) შეიმუშაოს და წარუდგინოს დასამტკიცებლად ა/კსფსრ მთავრობას ფედერატიული მნიშვნელობის დადგენილებათა პროექტები შინამრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის საკითხების თაობაზე და მისცეს დასკვნები სათანადო ორგანოების მიერ ა/კსფსრ მთავრობისათვის დასამტკიცებლად წარდგენილ დადგენილებათა პროექტების შესახებ;

დ) ხელი შეუწყოს ურთიერთობის დამყარებას სარეწაო კოოპერაციასა და სახელმწიფო მრეწველობასა და სხვა კოოპერატიულ სისტემებს შორის და გადასწყვიტოს ფედერატიული ხასიათის სადავო საკითხები კოოპერატიულ ორგანიზაციებსა და უწყებებს შორის სარეწაო კოოპერაციისა და შინამრეწველობის მუშაობის სფეროში;

ე) განიხილოს სარეწაო კოოპერაციის დაფინანსებისა და დაკრედიტების საკითხები.

3. ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული სარეწაო კოოპერაციისა და შინამრეწველობის კომიტეტი აძლევს დირექტივას ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისარიატებთან არსებულ სარეწაო კოოპერაციისა და შინამრეწველობის კომიტეტებს და ანხორციელებს საერთო მეთვალყურეობას მათი მუშაობისათვის.

კომიტეტს შეუძლიან შექმნას კომისიები და ბრიგადები სარეწაო კოოპერაციისა და ინვალიდთა კოოპერაციის ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების მუშაობის გამოსაკვლევად და მათი მუშაობის გამოცდილების შესასწავლად; აგრეთვე შეუძლიან მოიწვიოს თათბირები თავისი კომპეტენციის საკითხების გამო.

4. კომიტეტის დადგენილება, რაც ეხება ა/კსფსრ უწყებებისა და ორგანიზაციების მიერ სარეწაო კოოპერაციისა და შინამრეწველობის სფეროში წარმოებული მუშაობის შეთანხმებას და რაც განპროტესტებული არ არის დაინტერესებული უწყებებისა და ორგანიზაციებისაგან, სავალდებულოა მათთვის.

ათასი ჰექტაროებით.

კულტურები	აზ. სსრ	სომხ.სსრ.	საქ. სსრ	ა/კსფსრ
1. მარცვლეული	**129,66**	**246,98**	**525,95**	**902,59**
ა ქ ე დ ა ნ:				
ხორბალი	20,0	128,4	50,0	198,4
ქერი	32,26	93,3	76,0	201,56
შვრია	5,4	2,7	2,4	10,5
ასლი	—	18,6	4,7	23,3
ბრინჯი	27,0	0,3	—	27,3
ფეტვი	—	1,5	6,0	7,5
სიძინდი	—	0,58	385,0	385,58
სხვა მარცვლეული . . .	20,0	—	1,85	21,85
ცერცვოვანი	25,0	1,6	—	26,6
2. ტექნიკური	**209,12**	**36,37**	**50,40**	**295,89**
ა ქ ე დ ა ნ:				
ბამბა	191,2	26,8	18,0	235,0
კენაფი	3,0	—	—	3,0
სამხრეთის კანაფი . . .	4,5	—	0,4	4,9
არახისი	1,5	—	1,5	3,0
მზეუმვრიტა	2,0	0,44	5,5	7,94
სელი	4,0	6,9	2,0	12,9
სხვა ზეთოვანი	—	0,17	—	0,17
შაქრის ჭარხალი	—	0,5	4,1	4,6
თამბაქო	2,85	2,5	18,0	23,35
ეთეროვანი და სამკურნალო	0,07	0,06	0,9	1,05
3. ბოსტნეულ-ბალჩეული.	**42,17**	**17,5**	**37,75**	**97,42**
ა ქ ე დ ა ნ:				
კარტოფილი	16,5	10,0	17,3	43,8
ბოსტნები	16,0	6,3	17,8	40,1
ბატატები	—	—	0,15	0,15
ბალჩები	9,67	1,2	2,5	13,37
4. ოთხფეხი საქონლის საკვები	**43,2**	**24,8**	**34,1**	**102,1**
ა ქ ე დ ა ნ:				
ერთწლიანი ბალახები . .	11,0	8,0	16,3	35,3
მრავალწლიანი ბალახები.	19,0	7,0	5,7	31,7
ფესვნარი	1,5	1,2	1,5	4,2
სასილოსე ნათესი . . .	4,0	3,6	2,7	10,3
წინა წლების ბალახები .	7,7	5,0	7,9	20,6
ს უ ლ . .	424,15	325,65	648,2	1.398,0

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსაზღვრულ იქნეს მწკრივთაშორისი ნათესები (მთლიან ნათესზე გადატანით) საქართველოს სსრ-ში: ცერცვოვანი—25 ათასი ჰექტ. და სოია—25 ათასი ჰექტ.

საბჭოთა მეურნეობების ფართობი.საერთო ნათესი ფართობიდან განისაზღვროს.

ათასი ჰექტარობით:

კულტურები	აზ. სსრ	სომხ. სსს	საქ. სსრ	ა/კსფსრ
1. მარცვლეული	**7,2**	**5,2**	**11,9**	**24,3**
2. ტექნიკური	**12,1**	**0,9**	**4,4**	**17,4**
ა ქ ე დ ა ნ:				
ბამბა	11,0	0,3	1,5	12,8
შაქრის ჭარხალი	—	0,3	0,6	0,9
თამბაქო	—	0,25	—	0,25
3. ბოსტნეული და კარტოფილი . . .	**9,0**	2,2	**3,7**	**14,9**
4. ოთხფეხი საქონლის საკვები . . .	**11,4**	3,4	**6,8**	**21,6**
5. სხვა კულტურები	—	—	**0,5**	**0,5**
ს უ ლ	39,7	11,7	27,3	78,7

2. მრავალწლიან ნარგავთა ჩაყრა განისაზღვროს შემდეგი რაოდენობით:

ჰ ე ქ ტ ა რ ო ბ ი თ

კულტურები	აზ. სსრ		სომხ. სსრ		საქ. სსრ		ა/კსფსრ	
	სულ	აქედან საბჭ. მეურ.	სულ	აქედან საბჭ. მეურ.	სულ	აქედან საბჭ. მეურ.	სულ	აქედან საბჭ. მეურ.
ვენახები	1.000	350	460	380	1.500	300	2.960	1.030
ამერიკული ვაზის სადედეები	—	—	—	—	350	250	350	250
ხილის ბაღები	800	300	760	560	720	160	2.260	1.020
ციტრუსოვანი	30	30	—	—	480	330	510	360
სანერგეები:								
ა) ხეხილი	60	50	100	90	93	73	253	213
ბ) სუბტროპ. ხეხილი . .	—	—	—	—	12	4	12	4
გ) ციტრუსოვანი . . .	3	3	—	—	26	26	29	29
ჩაი	25	25	—	—	880	180	905	205
თუნგის ხე	—	—	—	—	250	250	250	250
რამი	—	—	—	—	600	300	600	300
რამის სანერგეები . . .	—	—	—	—	70	70	70	70
ბუჩქნარი თუთის ნარგავი.	50	50	—	—	50	50	100	100
მაღალტანიანი თუთის ნარგავი (ათას ძირობით) .	900	—	120	—	390	—	1.410	—

3. მეაბრეშუმეობის ხაზით დამტკიცებულ იქნეს შემდეგი საწარმოო დავალებანი:

	აზ. სსრ	სომხ სსრ	საქ. სსრ	ა/კსფსრ
გასაცოცხლებელი აბრეშუმიის ჭიის თესლის რაოდენობა (ათას კოლოფობით) .	80	2	87,5	169,5
ნედლი პარკის საერთო პროდუქცია (ტონნობით)	1.680	82	2.362	4.124

4. 1933 წლის წინამდგომარე საგაზაფხულო სასოფლო სამეურნეო კამპანიის გეგმის თავის დროზე მომზადებისა და აღსრულების უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებით ამ გეგმის თვისებრივი მაჩვენებლებისა, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო წინადადებას აძლევს რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს:

1) გაანაწილონ ერთი დეკადის ვადაზე სათესი ფართობები და მრავალწლიანი ნარგავების ფართობები რაიონებსა და საბჭოთა მეურნეობებზე და უზრუნველჰყონ გეგმის ადგილობრივ განბჭობა კოლექტიურ მეურნეობებსა, საბჭოთა მეურნეობებსა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებში.

2) დაავალონ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს და ტრაქტორ-ცენტრებს დაამთავრონ საწარმოო საფინანსო გეგმების შედგენა საბჭოთა მეურნეობებსა, კოლექტიურ მეურნეობებსა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებში და საკოლმეურნეო ბრიგადებისათვის საწარმოო დავალებათა მიცემა—1933 წ. თებერვლის 15-დე;

3) დაავალონ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს და „სოიუზსემენოვოდის“ განყოფილებებს—უზრუნველჰყონ თესლეულის შემოზიდვა და განაწილება დადგენილ ვადაზე; ამასთან ერთად ყოველი ღონისძიებით გამოყენებულ უნდა იქნეს შინაგანი სათესლე რესურსები და გაიშალოს ადგილობრივი დამზადება, საკოლმეურნეობათაშორისო ცვლა და სარაიონოთაშორისო და სარესპუბლიკათაშორისო გადაგზავნგადმოგზავნა; დადგენილ ვადებზე დამთავრებულ უნდა იქნეს სადაზღვეო და სათესლე ფონდების დაგროვება კოლექტიურ მეურნეობებში და დამყარდეს სისტემატიური კონტროლი და ანგარიშგება თესლის მიღებისა და გამოყენებისასათვის.

5. წინადადება მიეცეს ა/კ. რკინისგზების დირექციას—უზრუნველჰყოს სათესლე მასალის დაუცადებელი გადაგზავნ-გადმოგზავნა.

6. წინადადება მიეცეს რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს:

1) დაავალონ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს და ტრაქტორ-ცენტრებს—უზრუნველჰყონ ყველა სარაიონო ორგანიზაციაში ტრაქტორებისა, ავტომობილებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის რემონტის გეგმების გაზუსტება 1933 წ. იანვრის 20-დე და დაამთავრონ იანვრის 25-თვის ყველა სარემონტო სახელოსნოს და სამჭედლოს განმზადება; დაამთავრონ

ყველა ტრაქტორისა, ავტომობილისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანის რემონტი ა/წ. მარტის 1-ს მოაწყონ სარემონტო ბრიგადები—კვალიფიციური მუშა-ძალით ნაკლებად უზრუნველყოფილ რაიონებში გასაგზავნად;

2) დაავალონ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს და ტრაქტორ-ცენტრებს—დაამთავრონ 1933 წ. მარტის 1-დე ექვსი ახალი სამანქანო სატ-რაქტორო სადგურის მოწყობა; აქედან: აზერბაიჯანის სსრ-ში—დივიჩის და შემახისა, სომხეთის სსრ-ში—აწტარაკის და ბასარგეჩარისა და საქართველოს სსრ-ში—ზესტაფონის და თელავისა და უზრუნველჰყონ არა უგვიანეს 1933 წ. თებერვლის 1-სა ყველა სამანქანო-სატრაქტორო სადგურში აგრო-საწარმოო პუნქტების მოწყობა; უზრუნველჰყონ თავის დროზე ტრაქტორებისა და ამ ტრაქ-ტორების სათადარიგო ნაწილების შეზიდვა; განამტკიცონ ერთი დეკადის ვა-დაზე პრაქტიკული ღონისძიებებით სამანქანო-სატრაქტორო სადგურები და შეამოწმონ მათი მზადყოფნა საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიისა-თვის.

3) დაავალონ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს და „სას.-სამ.-მომარაგებებს"—უზრუნველჰყონ განაწილების პუნქტებში გეგმით გათვალისწი-ნებული სასოფლო-სამეურნეო მანქანების შეზიდვა არა უგვიანეს ა/წ. მარ-ტის 1-სა, განსაკუთრებით მწკრივადმთესი მანქანების (საბაძბე და სამარცვლეუ-ლო) და ტრიერებისა; დაუყოვნებლივ შეამოწმონ, არის თუ არა „სას.-სამ.-მომარაგების" საწყობებში სასოფლო-სამეურნეო მანქანები და უზრუნველჰყონ მათი რეალიზაცია; დაიმუშაონ 1933 წ. თებერვლის 1-დე ყველა რაიონში მწკრივადმთესი მანქანებისა და ტრიერების ნაყოფიერების ნორმები—ისეთი ვა-რაუდით, რომ ა/წ. თებერვლის 15-დე დამთავრებულ იქნეს კოლექტიურ მეურ-ნეობებსა და ინდივიდუალურ მეურნეობებში მწკრივადმთესი მანქანების და ტრიერების გამოყენების სარაიონო საკალენდრო გეგმების შედგენა და აგრეთვე ტრიერების და მწკრივადმთესი მანქანების რაიონთაშორის გადაგზავნის გეგმე-ბის შედგენა;

4) დაავალონ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს, ტრაქტორ-ცენ-ტრებს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—დაუყოვნებლივ შეამოწმონ, რა მდგომარეობაშია ცოცხალი საწევი ძალა ყველა რაიონსა, საბჭოთა მეურ-ნეობასა და კოლექტიურ მეურნეობაში, პირველყოველისა—ბამბისა და თამბაქოს რაიონებში—და რამდენად უზრუნველყოფილია იგი ფურაჟით, შესაბმელობით და სხვა მისთ.; თანაც იხმარონ გადამწყვეტი ღონისძიებანი საფურაჟე ფონდის შესაქმნელად;

5) დაავალონ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს და წყალთა მეურნეობის სამმართველოებს—დაამთავრონ სარწყავი სისტემის გაწმენდა და რე-მონტი 1933 წლის მარტის 15 თვის, რისთვისაც გამოაცხადონ რაიონებში წმენდის თვიური 1933 წლის თებერვლის 15-დან მარტის 15-დე; შეადგინონ ყველა სარწყავ რაიონში მორწყვის დაწვრილებითი საკალენდრო გეგმები და მიაწვდინონ კოლექტიურ მეურნეობებამდე და სოფლებამდე არა უგვიანეს 1933 წ. მარტის 15-სა; თანაც შეიმუშაონ მთელი რიგი ღონისძიებების სისტემა, რაც უზრუნველჰყოფს ამ გეგმების აღსრულებას; დაამთავრონ წყალსაქანების რე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონტი 1933 წ. მარტის 20-თვის; იხმარონ ღონისძიებანი მდინარეთა ნაპირების შემობექურებისა და წყალდიდობასთან ბრძოლისათვის საჭირო სამუშაოების დადგენილ ვადაზე დასამთავრებლად;

6) დაავალონ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს, ტრაქტორცენტრებს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს:

ა) ჩაატარონ თესლის 100%-ით გაწმენდა; უზრუნველჰყონ დეკადის ვადაზე ყველა რაიონში მარცვალსაწმენდი მანქანების გამოყენების კონკრეტული საკალენდრო გეგმების შედგენა; უზრუნველჰყონ მამხობლით დაავადებულ ყველა რაიონში თავთავიანი მარცვლეული კულტურების თესლის 100%-ით დაწამლვა; ყველა სხვა რაიონში დასაწამლი თესლის პროცენტი განსაზღვრონ რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებმა, მავნებლებთან ბრძოლის შენაერთის ორგანოებთან ერთად;

ბ) გააზუსტონ ერთი დეკადის ვადაზე მინერალური სასუქის შემოზიდვის და გამოყენების გეგმა; დაამთავრონ არა უგვიანეს 1933 წ. თებერვლის 15-სა სასუქის შესანახი საწყობების მშენებლობა და უზრუნველჰყონ ამ სასუქის თავის დროზე შემოზიდვა, შენახვა და კოლექტიურ მეურნეობებზე განაწილება; ჩაატარონ ფართო კამპანია მინდვრების გასაპატიებლად ნაკელისა, ნაცრისა და მეურნეობაში სხვა გადანაყარის გამოყენების გარშემო;

გ) უზრუნველჰყონ მწკრივადი თესვით მთლად ბამბის ფართობი; დაადგინონ არა უგვიანეს ა/წ. მარტის 1-სა თვითეული რაიონისათვის მარცვლეული კულტურების მწკრივადი თესვის გეგმები;

დ) განსაზღვრონ ა/წ. მარტის 1-დე ყველა რაიონში ყველა კულტრისათვის მოხვნისა და დათესვის დაწყების და დამთავრების ოპტიმალური საკალენდრო ვადები;

ე) მოაწყონ სისტემატიური ბრძოლა სარეველასთან, ამ სარეველას აღება მინდვრებიდან, დაფარცხვა, მიჯნების გამოთიბვა და სხვა მისთ.;

7) დაავალონ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს და მავნებლებლებთან ბრძოლის შენაერთის ორგანოებს—შეადგინონ არა უგვიანეს 1933 წ. თებერვლის 5-სა მცენარეთა მავნებლებთან და სენთან ბრძოლისათვის საჭირო მუშაობის გეგმა; ამასთანავე, ძირითადი ყურადღება უნდა მიაქცეონ სამანქანო-სატრაქტორო სადგურების საჭირო აპარატურით, შხამებით, მუშა-ძალით და სატრანსპორტო საშუალებით უზრუნველყოფას; სამეურნეო ორგანიზაციებთან ხელშეკრულებების დადება დაამთავრონ ამავე ვადისათვის;

8) დაავალონ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს:

ა) უზრუნველჰყონ ერთი დეკადის ვადაზე კოლექტიურ მეურნეობებზე მიწების მიმაგრება და დაამტკიცონ ტიპური თესლთბრუნვა რაიონებისათვის; დაუყოვნებლივ მოაწყონ საბჭოთა მეურნეობებსა და კოლექტიურ მეურნეობებში ტიპური და გარდამავალი თესლთბრუნვის განხილვა—ისეთი ვარაუდით, რომ არა უგვიანეს ა/წ. თებერვლის 15-სა შეუდგნენ მის განხორციელებას ნატურად;

ბ) უზრუნველჰყონ თესვის ჩატარება მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობებსა და კოლექტიურ მეურნეობებში დამტკიცებული გეგმების შესაბამისად;

ოთხფეხი საქონლის საკვები კულტურების სათესლე ბაზისის შესაქმნელად ყველა არასამეთესლეო საბჭოთა მეურნეობასა და კოლექტიურ მეურნეობაში 1930, 1931 და 1932 წლებში მრავალწლიანი ბალახებით დათესილი ფართობების 10%-ი დატოვებულ იქნეს სათესლეებისათვის და ეს ფართობები აღებულ იქნეს განსაკუთრებულ აღრიცხვასა და მეთვალყურეობაზე; თანაც ეს ფართობები უზრუნველყოფილ უნდა იქნეს დანაკლისებისა და ბალახად გათიბისაგან;

გ) უზრუნველჰყონ რაიონებში არა უგვიანეს ა/წ. თებერვლის 1-სა ადრეულა ნასვენის აოშვის გეგმების დამუშავება;

დ) დაამთავრონ ფართობების განმზადება ბაღებისა და ვენახებისათვის არა უგვიანეს ა/წ. აპრილის 10-სა; დაამთავრონ არა უგვიანეს 1913 წ. მარტის 5-სა ვაზის სამყნელი სათბურების აშენება და რემონტი; ჩაატარონ ვაზისა და ხეხილის წინა წლების ნარგავთა რემონტი (ჩაყრა) დადგენილი გეგმის შესაბამისად; უზრუნველჰყონ დადგენილ ვადებზე ხეხილის ნარგავთა საკომპლექტო წამლობა მთლად სამრეწველო ხეხილისა და ციტრუსოვანი ნარგავების ფართობაზე.

7. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს შეიმუშაოს და განახორციელოს ერთი დეკადის ვადაზე კონკრეტული ღონისძიებანი გეგმების აღსრულების უზრუნველყოფისათვის ჩაის კულტურის (რემონტი, ახალი ჩაყრა, ფაბრიკების მშენებლობა და სხ.) და თამბაქოს ხაზით საქართველოს სსრ-ში, განსაკუთრებით აფხაზეთში.

8. წინადადება მიეცეს რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს— გაითვალისწინონ ერთი დეკადის ვადაზე ღონისძიებანი მეცხოველეობის ხაზით საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის პერიოდში (მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობებისა და საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმების განმტკიცება, დაგრილების კამპანიის ჩატარება, სამზადისი თივის აღებისათვის, ოთხფეხი საქოველის საკვები ბაზისის ორგანიზაცია და სხვ.);

კერძოდ:

ა) დაამთავრონ 1933 წ. თებერვლის 1-დე დაგრილების კამპანიის გეგმების მიწვდენა კოლექტიურ მეურნეობებამდე და სოფლამდე; მოაწყონ მეცხოველეობის ძირითად რაიონებში საგაზაფხულო ნაშთების და სადედო ცხოველების გამოყვანა, დააპრემირონ საუკეთესო ფერმები, ბრიგადები და ცალკეული კოლმეურნეები და აგრეთვე ღარიბი და საშუალო მეურნეობები;

ბ) შეიმუშაონ 1933 წ. თებერვლის 15-დე კონკრეტული ღონისძიებანი ოთხფეხი საქონლის იალაღებზე გადარეკის მოსაწყობად და მომთაბარე საქონლისთვის ზოო-ვეტ-მომსახურეობის გასაწევად.

9. წინადადება მიეცეს რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს:

1) დაავალონ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს და საბჭოთა მეურნეობებისა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექტორებს—მოაწყონ ყველა საბჭოთა მეურნეობაში და სამანქანო-სატრაქტორო სადგურზე სამეურნეო ნათესები ისეთი ოდენობით, რაც უზრუნველჰაოფს მუშებისა და მოსამსახურეების სასურსათო პროდუქტებით მომარაგებას;

2) დაუყოვნებლივ შეუდგნენ საბჭოთა მეურნეობებისა, კოლექტიური მეურნეობებისა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისათვის მასსური კვალიფიკაციის კადრების მომზადებას და გარდამზადებას—სათანადო კურსების მოწყობით და უზრუნველჰყონ ეს კურსები სამასწავლებლო პერსონალით, სასწავლო წიგნებით და ხელსაწყოებით და საჭირო კრედიტებით. ეს მუშაობა დამთავრებულ უნდა იქნეს არა უგვიანეს ა/წ. აპრილის 1-სა.

10. დაევალოს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—შეამოწმოს საგაზაფხულო თესვის კამპანიის სამზადისის მსვლელობა და შედეგი მოახსენოს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს არა უგვიანეს 1933 წ. თებერვლის 15-სა.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო მოითხოვს ყველა საბჭოთა, საოლმეურნეო და სამეურნეო ორგ ა ნიზაციისაგან—დაუყოვნებლივ გაშალოს სამზადისი და ჩაატაროს საბრძოლო ტემპებით ყოველგვარი ღონისძიება საგაზაფხულო თესვისათვის.

1933 წლის საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანია უნდა მიმდინარეობდეს ფართოდ გაშლილი ულმობელი ბრძოლის ნიშანქვეშ კულაკური წინააღმდეგობის და საბოტაჟისა, წვრილ-ბურჟუაზიულ უნიათობის და თვალახვევის დასაძლევად, იმ ბრძოლის ნიშანქვეშ, რომ საბჭოთა და საკოლმეურნეო ორგანიზაციები, საბჭოთა მეურნეობების, კოოპერატიული და სხვა ორგანიზაციები გაწმენდილ იქნენ კულაკური ელემენტებისაგან, რომელნიც ამ ორგანიზაციებში შეპარულან. საბჭოთა მეურნეობების და სამანქანო-სატრაქტრრო სადგურების მუშებისა, კოლმეურნეებისა და ღარიბ და საშუალო მშრომელი მეურნეების ფართო მასების მობილიზაციით, კოლექტიური მეურნეობებისა, საბჭოთა მეურნეობებისა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების ორგანიზაციული და სამეურნეო-პოლიტიკური განმტკიცებით და ყველა ორგანოს გარკვეული და მტკიცე მუშაობით უზრუნველყოფილ უნდა იქნეს 1933 წლის საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის გეგმის ყველა მაჩვენებლის აღსრულება, განსაკუთრებულად მოსავლიანობის გადიდების ხაზით.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოთა თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შვერნიკი.**

1933 წ. იანვრის 21
ტფილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

37. 1933 წლის საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიისათვის აგროტექნიკური პროპაგანდის გაშლის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო აღნიშნავს, რომ აგროტექნიკური პროპაგანდა და ბრძოლა მოსავლიანობის გადიდებისათვს 1932 წლის საგაზაფხულო და საშემოდგომო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის დროს მოწყობილი იყო მეტისმეტად არადამაკმაყოფილებელად (ხეზეური ფორმალური დეკლარაციები, ნაცვლად მასსების ნამდვილი ორგანიზაციისა კონკრეტული ამოცანების გადასაწყვეტად).

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიაჩნია, რომ 1933 წლის საგაზაფხულო თესვის კამპანიის დროს მასსური აგროტექნიკური პროპაგანდის გაშლა გადაქცეულ უნდა იქნეს უდიდეს პოლიტიკურ კამპანიად მოსავლიანობის გადიდებისათვის, კულაკური საბოტაჟის ლიკვიდაციისათვის და მტიკცე, აგროტექნიკურად გაწვრთნილი საკოლმეურნეო აქტივის შექმნისათვის; ამასთანავე, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო წინასწარვე აცნობებს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს და ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, რომ საგაზაფხულო თესვის კამპანიისათვის მათ მიერ წარმოებული მუშაობის შეფასების დროს პირველყოვლისა მხედველობაში მიღებულ იქნება მიღწევანი თესლთბრუნვის და აგროტექნიკის შთანერგვისა, მოსავლიანობის გადიდებისა და აგროტექნიკური პროპაგანდის ორგანიზაციის სფეროში.

ამისდამიხედვით ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებმა და ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტებმა, 1933 წლის საგაზაფხულო-სასოფლო სამეურნეო კამპანიისათვის მასსური კვალიფიკაციის კადრების მომზადების და გარდამზადების გეგმის რეალიზაციასთან ერთად, უნდა უზრუნველჰყონ ყოველგვარი აგროტექნიკური პროპაგანდით კოლმეურნეებისა, კოლმეურნე-ქალებისა და აგრეთვე ინდივიდუალური მშრომელი მეურნეების ფართო მასსების მოცვა.

2. ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებმა უნდა დაამთავრონ ერთი დეკადის ვადაზე მტკიცე აგრომინიმუმების, აგროზოოწრეების ქხელის და მათი ტიპიზაციის რაიონობითი ასპექტით დამუშავება, მუშაობის პროგრამები და გეგმები, წრეების მიმაგრება სამანქანო-სატრაქტორო სადგურებზე, საბჭოთა მეურნეობებზე, გლეხთა ახალგაზრდობის სკოლებზე, სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტებზე, ზონალურ სადგურებზე და მათ დასაყრდენ პუნქტებზე; თანაც უნდა მოახერხონ მუდმივი სასოფლო-სამეურნეო გამოფენების მოწყობა.

3. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებმა:

ა) უნდა განსაზღვრონ სარაიონო საადგილმამულო განყოფილებების გამგეებისა, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებისა, სკოლების გამგეებისა და ინსტიტუტების, ზონალური სადგურების და მათი დასაყრდენი პუნქტების ხელმძღვანელების პერსონალური პასუხისმგებლობა მასსური აგროტექნიკური პროპაგანდის ორგანიზაციისა და ჩატარებისათვის მიმაგრებულ კოლექტიურ მეურნეობებსა და სოფლებში;

ბ) უნდა დაავალონ ყველა სამანქანო-სატრაქტორო სადგურის ხელმძღვანელობას—იკისროს განსაკუთრებული პოლიტიკური კონტროლის გაწევა აგროტექნიკური პროპაგანდის განსახორციელებლად საჭირო ყველა ღონისძიებისათვის როგორც წრეების დაკომპლექტების და ხელმძღვანელთა შერჩევისა, განსაკუთრებით, ყოველგვარი მეცადინეობის შინაარსის ხაზით;

გ) უნდა აღკვეთონ აგრომინიმუმის ჩატარების შეუფასებლობა ინდივიდუალურ მეურნეობებში, უნდა შექმნან აგრორწმუნებულთა ინსტიტუტი ინდივიდუალური მეურნეობებისათვის და უზრუნველჰყონ მათი მომზადება და გარდამზადება;

პასუხისმგებლობა აგრორწმუნებულთა ინსტიტუტის ორგანიზაციისა და მუშაობისათვას უნდა დააკისრონ სარაიონო საადგილ-მამულო განყოფილებათა გაამგეებს;

დ) უნდა ჩაატარონ ა/წ. თებერვლის განმავლობაში ძირითად რაიონებში ფართო აგროზოოტექნიკური კონფერენციები—ამ კონფერენციებზე კონკრეტულ ღონისძიებათა შემუშავებით მოსავლიანობის და მეცხოველეობის პროდუქტიობის გადიდებისათვის.

4. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებმა და ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა უნდა შეიმუშაონ ერთი დეკადის ვადაზე კოლექტიური მეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო თათბირების მუშაობის სანიმუშო სქემები მოსავლიანობის გადიდების საკითხების გამო.

რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებმა უნდა დაავალონ სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—ფართოდ გაშალონ საწარმოო თათბირების მუშაობა (საერთოსაკოლმეურნეო, საბრიგადო და სადარგო), რისთვისაც დაწესებულ უნდა იქნეს განსაზღვრული დღეები ამ თათბირების მუშაობისათვის.

5. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებმა:

ა) უნდა გამოარჩიონ ყველა კოლექტიურ მეურნეობაში გამოცდილი კოლმეურნე-დამკვრელები და მათ გარშემო შემოკრიბონ საკოლმეურნეო ახალგაზრდობის ჯგუფები მათგან საწარმოო გამოცდილების შესაძენად; უნდა მოახერხონ, რომ გამოცდილების მოყვარულთ უახლოესმა ზონალურმა სადგურებმა და მათმა დასაყრდენმა პუნქტებმა სათანადო დახმარება გაუწიონ; უნდა პრაქტიკაში შემოიღონ გამოცდილების მქონე კოლმეურნეთა სპეციალური თათბირებისა და კონფერენციებსს მოწვევა;

ბ) უნდა გამოჰყონ სპეციალური ფონდი იმ საუკეთესო კოლმეურნეთა დასაპრემირებლად, რომელნიც დაეუფლნენ აგროტექნიკას და საქმით აამაღლებენ დიდი მოსავლისათვის ბრძოლის საუკეთესო მაგალითს.

УКРАЇНИ

6. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებმა და ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა უნდა შექმნან ერთი დეკადის ვადაზე სპეციალური აგროტექნიკური პროპაგანდის ჯგუფები გადამწყვეტ რაიონებში მასსური ლექციების ჩასატარებლად.

დაეკისროს კოლექტიურ მეურნეობებში საწარმოო-ტექნიკური გეგმების შესადგენად მობილიზებულ აგროტეხნიკურ პერსონალს—ჩაატაროს ერთსადაიმავე დროს მუშაობა აგროტექნიკური პროპაგანდისათვის კოლექტიურ მეურნეობებში.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. დოგადოვი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი ა. შავერდოვი.

1933 წ. იანვრის 26
№ 509
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 28 №-ში 1933 წ. თებერვლის 3-ს.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

38. ამიერკავკასიის თესვის საქმეთა კომიტეტის მოწყობისა და შედგენილობის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მოწყობილ იქნეს ამიერკავკასიის თესვის საქმეთა კომიტეტი ამხანაგთა შუსაბეკოვისა (თავმჯდომარე), მეერზონისა, ბუნიათ-ზადეს, ბონდარენკოს და აგრბას შედგენილობით.

2. დაეკისროს კომიტეტს პასუხისმგებლობა პარტიისა და მთავრობის ყველა დავალების თავის დროზე და სავსებით შესრულებისათვის საგაზაფხულო თესვის კამპანიის ხაზით და დაეევალოს მას მოაწყოს ყველა საადგილმამულო და საკოლმეურნეო ორგანიზაციის გარკვეული მუშაობა და გაუწიოს ყოველდღიური ოპერატიული ხელმძღვანელობა კამპანიის მსვლელობას.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. დოგადოვი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი ა. შავერდოვი

1938 წ. იანვრის 31.
№ 510.
ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

39. პირველი ხუთწლედის აღსრულების ხაზით ჯამობითი სამუშაოების გამოცემის წესის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს და აგრეთვე ყველა უწყებას ა/კსფსრ-ში—ნუ გამოსცემენ და ნუ გამოაქვეყნებენ რაიმე ჯამობითს სამუშაოს,—როგორც ჯუმლობითის, ისე სადარგოს და სარაიონოს,—ვიდრე არ გამოქვეყნდება სსრკ-ის სახელმწიფო საგეგმო კომისიის დადგენილება პირველი ხუთწლედის აღსრულების ჯამების შესახებ.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნული, სსრკ-ის სახელმწიფო საგეგმო კომისიის დადგენილების გამოქვეყნების შემდეგ ზემოდ დასახელებული სამუშაოები შეიძლება გამოიცეს მხოლოდ სსრკ-ის სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან შეთანხმებით.

3. დაევალოს ყველა უწყებას ა/კსფსრ-ში—წარადგინოს სსრკ-ის სახელმწიფო საგეგმო კომისიაში, ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის მეშვეობით, ყველა მის ხელთ ქონებული მასალა და სამუშაო პირველი ხუთწლედის აღსრულების ჯამების თაობაზე—სახელმწეფო საგეგმო კომისიის მუშაობაში გამოსაყენებლად და მათი შედგენის მეთოდოლოგიის შესათანხმებლად.

4. დადგენილება ესე შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ ტელეგრაფით.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. **დოგადოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი ა. **შავერდოვი.**

1933 წ. თებერვლის 4.
№ 511.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"ს 32 №-ში 1933 წ. თებერვლის 8-ს.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

40. ქალაქებისა და სოფლების რაიონებში საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საჭიროებისათვის დადგენილი გამოსაღების თაობაზე გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წლის იანვრის 29-ის დადგენილების განხორციელების შესახებ.

1. „ქალაქების და სოფლების რაიონებში საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საჭიროებათათვის დადგენილი გამოსაღების შესახებ"

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოცემული დადგენილების 5, 8, 9, 20 და 22 მუხლების თანახმად („იზვესტიას“ 29 №-ი 1933 წ. იანვრის 30-სა)—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ა) უფლება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—გაანთავისუფლონ ხოლმე გამოსაღებისაგან შენობების შემოსავლის ხაზით აგრეთვე ის მუშები, მოსამსახურეები და დაქირავებული შრომის არაგამომყენებელი შინამრეწველები და ხელოსნები, რომელნიც აქირავებენ თავიანთ შენობებს;

ბ) მთლად გაანთავისუფლონ ხოლმე გამოსაღების გადახდისაგან ცალკეული სოფლების მოსახლეობა;

გ) სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების მე-19 მუხლით კოლმეურნეთა და ინდივიდუალურ მეურნეთა მეურნეობების მე-III, IV, VI და VII კატეგორიებისათვის დადგენილი განაკვეთების ფარგლებში დააწესონ ცალკეული რაიონებისათვის გამოსაღების საბოლოო განაკვეთები; ცალკეულ შემთხვევებში სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს შეუძლიანთ დააწესონ გამოსაღების სხვადასხვა განაკვეთები ცალკეული სოფლებისათვის;

დ) დააწესონ გამოსაღების გადახდის ვადები კოლმეურნეთათვის და მშრომელ ინდივიდუალურ მეურნეთათვის ისეთი ვარაუდით, რომ გამოსაღების გადახდა დამთავრებულ იქნეს:

ა) კოლმეურნეთა მეურნეობების მიერ—აპრილის 15-თვის;

ბ) მშრომელ ინდივიდუალურ მეურნეთა მეურნეობების მიერ აპრილის 1-თვის.

II. მთლად შემოსული კულტგამოსაღების ასი პროცენტი ჩაირიცხება ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტში.

ამასთანავე, სოფლად შემოსული კულტგამოსაღები მთლად გადაიცემა რესპუბლიკების ბიუჯეტებიდან სათანადო ადგილობრივ ბიუჯეტებში.

III. დადგენილება ესე შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ ტელეგრაფით.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუხაბეკოვი**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1933 წ. თებერვლის 8.
№ 513.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 34 №-ში 1933 წ. თებერვლის 10-ს.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

41. 1933 წელს ბამბის მოსავლიანობისა და გადასარგავი ბამბის ფართობების შესახებ.

„1933 წლისთვის მებამბეობის სფეროში საჭირო ღონისძიებათა შესახებ“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. იანვრის 13-ის თარიღისა და 506 №-ის დადგენილების“ („ზარია ვოსტოკას“ მე-13 №-ი 1933 წ. იანვრის 15-სა) დასამატებლად და შესაცვლელად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. განსაზღვრულ იქნეს 1933 წლისთვის ბამბის შემდეგი მოსავლიანობა ერთ ჰექტარზე ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში და სექტორებში:

რესპუბლიკები	საშუალო	სახელშეკრულობო სექტორი	საბჭოთა მეურნეობები.
აზერბაიჯანის სსრ	7 ცენტნერი	7 ცენტნერი	6,6 ცენტნერი
სომხეთის სსრ	6 „	6 „	4 „
საქართველოს სსრ	6 „	6,1 „	5 „

წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—დაუყოვნებლივ დაადიფერენცირონ მოსავლიანობა რაიონებზე და მიაწვდინონ იგი რაიონებამდე ხუთი დღის ვადაზე.

2. „1933 წლისთვის მებამბეობის სფეროში საჭირო ღონისძიებათა შესახებ“ გამოცემული ა/კსფარ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. იანვრის 13-ის თარიღისა და 506 №-ის დადგენილების მე-3 მუხლის შესაცვლელად—გადასარგავი ბამბის ფართობი ა/კსფსრ-ში განისაზღვროს შემდეგი რაოდენობით (ჰექტარობით):

რესპუბლიკები	ს უ ლ	ა ქ ე დ ა ნ	
		სამანქ.-სატრაქტ. სადგურ.	საბჭოთა მეურნეობ.
აზერბაიჯანის სსრ	900	700	200
სომხეთის სსრ	100	100	—
საქართველოს სსრ	50	50	—
ა/კსფსრ . .	1.050	850	200

წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს:

ა) დაავალონ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს—დაუყოვნებლივ გაანაწილონ გადასარგავი ბამბის ფართობი რაიონებსა და საბჭოთა მეურნეობებზე;

ბ) აწარმოონ მკვეთრი ბრძოლა მინის განფანტვისა და მინიანი ჩარჩოების დაუდევრად შენახვის წინააღმდეგ და აძლიონ მინის გატაცებაში დამნაშავე პირნი პასუხისგებაში სასამართლო წესით.

წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—დაუყოვნებლივ გასცეს განწესი ბამბის გადარგვის კულტურისათვის საჭირო თესლზე.

3. სსრკ-ის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ 1933 წლის საგაზაფხულო კამპანიისათვის შემოსაზიდი მინერალური სასუქის საბოლოოდ დამტკიცებულ ლიმიტებთან დაკავშირებით შეცვლილ იქნეს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს ზემოაღნიშნული, 1933 წ. იანვრის 13-ის, დადგენილების მე-5 მუხლი და კოლექტიურ მეურნეობებში ბამბის ფართობების მინერალური სასუქით გაპატივება ჩატარებულ იქნეს შემდეგი რაოდენობით:

აზერბაიჯანის სსრ-ში	2.000	ჰექტარზე
სომხეთის სსრ-ში	1.500	„
საქართველოს სსრ-ში	450	„
ა/კსფსრ-ში	3.950	ჰექტარზე.

წარსული წლებიდან დარჩენილი მინერალური სასუქი, რაც კოლექტიურ მეურნეობებისათვის არის დანიშნული, მოხმარებულ უნდა იქნეს მთლად, აღნიშნული ფართობების ზედმეტად.

მიენდოს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—განიხილოს ერთი დეკადის ვადაზე მინერალური სასუქის კონტიგენტები საბჭოთა მეურნეობებისათვის და, არსებული სასუქის რაოდენობის გამორკვევის შემდეგ, საბჭოთა მეურნეობების მინერალური სასუქის გეგმა მიაწვდინოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებამდე.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1933 წ. თებერვლის 9.
№ 515.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 36 №-ში 1933 წ. თებერვლის 12-ს.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

42. ამიერკავკასიის თესვის საქმეთა კომიტეტის პასუხისმგებელი მდივნის დანიშვნის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დაინიშნოს ამხ. პ. ი. ზუმბაძე ამიერკავკასიის თესვის საქმეთა კომიტეტის პასუხისმგებელ მდივნად.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1933 წ. თებერვლის 9.
ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

43. „ექსპორტლესის“ ამიერკავკასიის კონტორის მოწყობის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მოწყობილ იქნეს „ექსპორტლესის“ ამიერკავკასიის კონტორა.

2. წინადადება მიეცეს საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს ა/კსფსრ სკს-თან განახორციელოს ეს დადგენილება.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1933 წ. თებერვლის 9.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

44. ა/კსფსრ ავტოტრანსპორტზე სამგზავრო და სატვირთო ტარიფების გამგებლობის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ა/კსფსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს გაუქმების გამო, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. მარტის 3-ის დადგენილებით მასთან მოწყობილი საავტომობილო ტარიფების დამწესებელი საუწყებათაშორისო თათბირი გაუქმებულ იქნეს.

2. საავტო-საჭაპანზიდვო ტარიფების დაწესება და შეცვლა, სსრკ-ის შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1932 წ. მაისის 15-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1932 წ. 36 №-ი, მუხ. 219), ამიერიდან დაეკისროს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს და საქალაქო აღმასრულებელ კომიტეტებს.

3. ტარიფების შედგენისა და ამ ტარიფების წესიერად შეფარდებისათვის კანტროლის გაწევის დროს რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებმა და საქალაქო აღმასრულებელმა კომიტეტებმა უნდა იხელმძღვანელონ სსრკ-ის შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1932 წ. მაისის 16-ის დადგენილება „საავტო-საჭაპანზიდვო გადაზიდვათა ტარიფების შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1932 წ. 36 №-ი, მუხ. 219).

4. მიენდოს რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—განიხილონ და დაამტკიცონ ერთი თვის ვადაზე საავტო-საჭაპანზიდვო ტარიფების ოპერატიული რეგულირების წესი (საავტო-საჭაპანზიდვო გადაზიდვათა თვითღირებულებისა და ტარიფების წესიერად შემოღების და შეფარდებისათვის კონტროლის დადგენის წესი).

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. ზავერდოვი.**

1933 წ. თებერვლის 9.
ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

45. მალარიასთან ბრძოლის ღონისძიებათა დებულების დამტკიცების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს ქვემომდევნო დებულება მალარიასთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ.

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს:

ა) შეუფარდონ თავიანთი კანონმდებლობა ამა დებულებას;

ბ) გამოსცენ აღნიშნული დებულების განსავითარებლად სათანადო დადგენილებანი და დაამყარონ წესი ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატებისა და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების მიერ სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისათვის როგორც სამალარიო სანმინიმუმის აღსრულებისა, ისე, საერთოდ, მალარიასთან ბრძოლის შესახებ, ადგილობრივ თავისებურებათა ანგარიშში მიღებით;

გ) გაითვალისწინონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი მალარიასთან ბრძოლისათვის წარმოებული მუშაობის გასაძლიერებლად და მალარიასთან მებრძოლი რესპუბლიკანური და ადგილობრივი კომიტეტების მუშაობის გასაცხოვლებლად.

3. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ სამალარიო კომიტეტს—გამოსცეს ერთიანი ვადაზე ინსტრუქცია მალარიასთან ბრძოლის ღონისძიებათა ჩატარების შესახებ და გაითვალისწინოს ამ ინსტრუქციაში ჰიდროტექნიკური ხასიათისა და მექანიკური პროფილაქტიკის ღონისძიებანი, აგრეთვე მალარიასთან ქიმიკური და ბიოლოგიური საშუალებებით ბრძოლის ღონისძიებანი.

4. საჭიროდ იქნეს ცნობილი წყალთა მეურნეობის ორგანოების მოვალეობათა ფარგალში სანიტარული მელიორაციის შეტანა, ე. ი. დიდრონი სანიტარულ-ჰიდროტექნიკური სამუშაოებისა (გამოკვლევა, მშენებლობა), რომელთაც მიზნად ექნებათ უპირატესად ან მარტოოდენ გამაჯანსაღებელი ხასიათი; ეს სამუშაოები განხორციელებულ უნდა იქნეს რესპუბლიკანურ სამალარიო კომიტეტებთან შეთანხმებით.

5. აიკრძალოს სარწყავი ბრინჯის თესვა სამკილომეტრიან ზოლში ქალაქებიდან, სამრეწველო ცენტრებიდან, სამრეწველო საწარმოდან, დასახლებულ ადგილებიდან, საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიიდან, სარკინისგზო სადგურებიდან, გზატკეცილებიდან, ჯარის ნაწილებისა და დაცვის სამყოფელ ადგილებიდან და სხვ.; აღნიშნული მანძილი უნდა იწყებოდეს დასახლებული ადგილების სანაპიროებიდან.

6. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს:

ა) შეიტანონ პედაგოგიური და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმებისა და მასსური სკოლების პროგრამებში „ტროპიკულ დაავადებათა და მათთან ბრძოლის ღონისძიებათა“ კურსი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) შეიტანონ სამედიცინო ტექნიკუმების სასწავლო გეგმაში ტროპიკული მედიცინა როგორც საგანი;

გ) მოაწყონ სამედიცინო ინსტიტუტებში პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის კათედრები;

დ) ფართოდ მოაწყონ სხვა ღონისძიებანი სასანიტარო-საგანმანათლებლო ხასიათისა, როგორიც არის: ლექციები, საუბრები, მუზეუმები, გამოფენები, და პოპულარული მასსური ლიტერატურის, პლაკატების, სპეციალური კინოფილმების და სხვა მისთ. გავრცელება.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1933 წ. თებერვლის 9.
ტფილისი.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მალარიასთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ

1. მალარიასთან ბრძოლის ორგანოები.

1. მალარიასთან ბრძოლის გამძღოლი ორგანოები არიან:

ა/კ ს ფ ს რ-ში: **ა.** ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული მალარიასთან და სხვა ტროპიკულ დაავადებასთან ბრძოლის კომიტეტი და

ბ. ამიერკავკასიის რკინის გზების დირექციის საგზაო სასანიტარო განყოფილება.

რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ე ბ შ ი:

ა. მალარიასთან ბრძოლის რესპუბლიკანური კომიტეტები და მათი ადგილობრივი ორგანოები;

ბ. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატები და მათი ადგილობრივი ორგანოები:

ა) ტროპიკული ინსტიტუტები,

ბ) ტროპიკული სადგურები,

გ) სამალარიო დისპანსერები,

დ) სამალარიო პუნქტები,

ე) სამალარიო რაზმები,

ვ) პროფილაქტიკური პუნქტები,

ზ) წითელი ჯვრის და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოების ორგანოები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. 1-ლი მუხლის „ბ“ და „გ“ პუნქტებში აღნიშნული სპეციალური ტროპიკული დაწესებულებანი შედიან სადისპანსერო შენაერთების ან ერთიანი დისპანსერების საერთო სისტემაში.

3. მალარიასთან და სხვა ტროპიკულ დაავადებასთან ბრძოლის ამიერკავკასიის კომიტეტი, რომელიც დაარსებულია ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან ა/კსფსრ ტერიტორიაზე მალარიასთან და სხვა ტროპიკულ დაავადებასთან გეგმაშეწონილი და რაციონალური ბრძოლის საერთო ხელმძღვანელობის მიზნით, მოქმედობს ა/კსფს სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებული განსაკუთრებული დებულების საფუძველზე.

ა. მალარიასთან ბრძოლის რესპუბლიკანური კომიტეტები და მათი ადგილობრივი ორგანოები.

4. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში სახალხო კომისართა საბჭოებთან არსებობენ სამალარიო კომიტეტები, რომელთა მიზანია გააერთიანონ მალარიასთან და სხვა ტროპიკულ დაავადებასთან ბრძოლის საქმით დაინტერესებული უწყებებისა, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ძალები და სახსარი და აგრეთვე ხელმძღვანელობა გაუწიონ მათ საქმიანობას და წარმართონ იგი.

5. ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან და საქალაქო საბჭოებთან არსებობენ ადგილობრივი სამალარიო კომიტეტები.

შენიშვნა. ადგილობრივი სამალარიო კომიტეტები არსდებიან მხოლოდ მალარიულად ცნობილ ადგილებში.

6. რესპუბლიკანური სამალარიო კომიტეტები, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატები და მათი ადგილობრივი ორგანოები, აგრეთვე წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოების ორგანოები მოქმედებენ სათანადო რესპუბლიკების მთავრობათა მიერ დამტკიცებული სპეციალური დებულებების თანახმად.

ბ. ტროპიკული ინსტიტუტები.

7. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატების ტროპიკული ინსტიტუტები, არიან-რა სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებანი, ამუშავებენ:

ა) სამეცნიერო-პრაქტიკულ საკითხებს მალარიასთან და სხვა ტროპიკულ დაავადებასთან ბრძოლის სფეროში;

ბ) პროფილაქტიკური ბრძოლის მეთოდებს;

გ) სპეციალური თერაპიის საკითხებს;

დ) ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატების გეგმებს და პრაქტიკულ დავალებებს ტროპიკულ დაავადებასთან ბრძოლის სფეროში.

8. ტროპიკული ინსტიტუტები ანხორციელებენ სამეცნიერო-პრაქტიკულ ხელმძღვინელობას მალარიასთან და სხვა ტროპიკულ დაავადებასთან მებრძოლი

ორგანიზაციებისას და აგრეთვე ამზადებენ ტროპიკულ დაავადებასთან ბრძოლისათვის საჭირო კადრებს.

9. დებულებებს ტროპიკული ინსტიტუტებისა, ტროპიკული სადგურებისა, სამალარიო დისპანსერებისა, სამალარიო პუნქტების და რაზმებისა და პროფილაქტიკური პუნქტების სტრუქტურის, მიზნების და დავალებების და აგრეთვე მუშაობის მეთოდების შესახებ ამტკიცებენ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკების ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატები.

გ. ტროპიკული სადგურები.

10. ტროპიკული სადგურები არიან სამეცნიერო-პრაქტიკული დაწესებულებანი, რომელნიც უშუალოდ უძღვებიან ოპერატიულ და სახელმძღვანელო მუშაობას მალარიასთან და სხვა ტროპიკულ დაავადებასთან ბრძოლისათვის ტროპიკული სადგურების მოქმედების რაიონის სათანადო ტერიტორიაზე.

11. ტროპიკული სადგურების პროფილაქტიკურ აპარატად მალარიასთან ბრძოლის ხაზით არიან: სამალარიო დისპანსერები, სამალარიო პუნქტები, სამალარიო რაზმები და პროფილაქტიკური პუნქტები.

დ. ტროპიკული დისპანსერები.

12. ძირითად დასაყრდენ პუნქტებად მალარიასთან ბრძოლაში არიან ტროპიკული დისპანსერები, რომელნიც უძღვებიან სამკურნალო-პროფილაქტიკურ მუშაობას მალარიასთან და სხვა ტროპიკულ დაავადებასთან ბრძოლისათვის დისპანსერის სამყოფელ რაიონში, აწარმოებენ სპეციალურ საგამოკვლევო სამუშაოებს და აგრეთვე უძღვებიან სასანიტარო-საგანმანათლებლო მუშაობას — მშრომელთა ფართო მასსების მალარიასთან და სხვა ტროპიკულ დაავადებასთან ბრძოლის საქმეში ჩაბმით და დარაზმვით ამ მუშაობის წარმატებით ჩასატარებლად.

ე. სამალარიო პუნქტები.

13. სამალარიო პუნქტები, რომლებსაც ჰმეთაურობენ ექიმები, მოეწყობიან ან როგორც დამოუკიდებელი სპეციალური დაწესებულებანი (მალარიით განსაკუთრებულად დაავადებულ ადგილებში), ან საერთო საექიმო პუნქტებთან და ასრულებენ ტროპიკული სადგურების ამოცანებს სამკურნალო-პროფილაქტიკურ ღონისძიებათა სფეროში სამალარიო პუნქტის მოქმედების რაიონში.

ვ. სამალარიო რაზმები.

14. სამალარიო რაზმები, რომელთაც ჰმეთაურობენ ექიმები, მოქმედებენ მუდმივ მომქმედი ან დროებით მომქმედი ორგანიზაციების სახით იმ ადგი-

ლებში, სადაც მუდმივი ტიპის დაწესებულებანი (დისპანსერი, პუნქტი) არ არსებობენ, მალარიასთან და სხვა ტროპიკულ დაავადებასთან ბრძოლისათვის საჭირო სამკურნალო-პროფილაქტიკური მუშაობის განსახორციელებლად, ანდა არსებულ, მალარიის საწინააღმდეგო, დაწესებულებათა მუშაობის გასაძლიერებლად მალარიან ადგილებში, სადაც დროებით ბლომად თავს იყრიან მუშათა მასსები (სასეზონო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები, ხეტყის დამზადება, ხეტყის წყლით ჩამოტივტივება, არხების გაყვანა, რკინისგზების მშენებლობა, ახალსაშენებლები და სხვა მისთ.).

ზ. პროფილაქტიკური პუნქტები.

15. პროფილაქტიკური პუნქტები, საშუალო სამედიცინო პერსონალისა (მკურნალის თანაშემწე, ბონიფიკატორი, სამედიცინო და) და ტექნიკური პერსონალის შედგენილობით, ასრულებენ ზემდგომი ტროპიკული ორგანიზაციების დავალებათ მალარიანი ადგილების გაჯანსაღებისა და მშრომელთათვის სამკურნალო-პროფილაქტიკური დახმარების გაწევის ხაზით.

II. სამალარიო რუკა.

16. მალარიასთან ბრძოლისათვის საჭირო მუშაობის რეალური და მიზანშეწონილი გეგმის შედგენის მიზნით ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატები, იყენებენ-რა ყველა სამეურნეო, სამრეწველო, კომუნალური და სხვა ორგანიზაციის დახმარებას, რაც ამ უკანასკნელისათვის სავალდებულოა,—აგროვებენ მათგან საჭირო მასალას დაჭაობებათა სახისა და ხასიათის გამოსარკვევად, აწარმოებენ თავიანთი სახსარით დამატებითს გამოკვლევას ამ დაჭაობებათა ბიოლოგიური დახასიათებისა და მალარიის ეპიდემიოლოგიაში მათი როლის გამორკვევის მიზნით, არკვევენ თავიანთი ძალებით, რამდენად არის მოსახლეობა მალარიით მოდებული და რა ხასიათისაა იგი, და მოპოებული მასალის საფუძველზე ადგენენ რესპუბლიკის მალარიულ ზონირებას და სათანადო სამალარიო რუკას.

17. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატები შეადგენენ რესპუბლიკების ზონირების პროექტებს მალარიანობის მეტნაკლებობის მიხედვით და ეს პროექტები, სათანადო რესპუბლიკების რესპუბლიკანურ სამალარიო კომიტეტებსა და სახალხო კომისართა საბჭოებში განხილვის შემდეგ, წარედგინება, ამიერკავკასიის სამალარიო კომიტეტის დასკვნითურთ, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად.

18. სამალარიო რუკა სავალდებულოა სახელმძღვანელოდ ყველა უწყებისა, სახალხო კომისარიატისა და სამეურნეო ორგანოსათვის სამალარიო კანონმდებლობის შეფარდებისა, მალარიის საწინააღმდეგო ბრძოლის დაგეგმვისა, განსახლების და გადასახლებისა, შეღავათების მიცემისა და წყალსასანიტარო მელიორაციის გეგმის შემუშავების საკითხებში და სხვა მისთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

III. მალიარიასთან ბრძოლის ღონისძიებათა დაფინანსების წყაროები და წესი.

19. მალარიასთან და სხვა ტროპიკულ დაავადებასთან ბრძოლის ღონისძიებანი ფინანსირდება შემდეგი წყაროებიდან:

ა) სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან ჯანმრთელობის ორგანოების ხარჯთაღრიცხვებით;

ბ) სახელმწიფო ბიუჯეტიდან სპეციალური ასსიგნების სახით გადადებული სათანადო თანხებით და სახალხო მეურნეობის იმ ცალკეული დარგების დაფინანსების ხაზით გადადებული ასსიგნებით, რომელნიც დაინტერესებულ არიან მალარიასთან და სხვა ტროპიკულ დაავადებასთან ბრძოლის საქმეში, და აგრეთვე გზათა სახალხო კომისარიატისა და წყალთა სახალხო კომისარიატის ხარჯთაღრიცხვებით—დადგენილი წესისამებრ;

ა/კსფსრ ტერიტორიაზე მომქმედი იმ სახელმწიფო და სამეურნეო ორგანიზაციების სახსარით, რომელნიც მალარიან ადგილებში მუშაობენ,—დადგენილი წესისამებრ;

სოციალური დაზღვევის ბიუჯეტიდან, სამკურნალო ფონდის ზედმეტად, სპეციალური ასსიგნების სახით გადადებული სათანადო თანხებით;

წითელი ჯვრის და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოების სახსარით;

მოსახლეობის თვითდაბეგვრით—დადგენილი წესისამებრ.

20. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატების ხარჯთაღრიცხვებში (სახბიუჯეტით) შეიტანება შემდეგ დაწესებულებათა მშენებლობისა, გაწყობისა და შესანახი ხარჯები: ტროპიკული ინსტიტუტებისა, ტროპიკული სადგურებისა, მალარიასთან და სხვა ტროპიკულ დაავადებასთან ბრძოლის სპეციალური რაზმებისა, სამეცნიერო ხასიათის მქონე რაზმების და ექსპედიციებისა, უმაღლესი და საშუალო კვალიფიკაციის კადრების მომზადებისა, კვალიფიკაციის გარდამზადების და ამაღლებისა, სამეცნიერო წარვლინებისა, საჩვენებელი ხასიათის საბონიფიკაციო საშუშაოებისა, ახალი პირობების მიხედვით მალარიასთან ბრძოლის საქმეში ჰაეროპლანების გამოყენების ცდისა, სხვა სამეცნიერო-საკვლევო ხასიათის ღონისძიებებისა, სასანიტარო-საგანმანათლებლო ღონისძიებებისა და სპეციალური ჟურნალების და სპეციალური ლიტერატურის გამოცემისათვის.

21. ადგილობრივ ბიუჯეტებში—ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებათა დაფინანსების ხაზით—შეიტანება ასსიგნები ტროპიკული დისპანსერების და სამალარიო პუნქტების მშენებლობისა, გაწყობისა და შენახვისათვის და აგრეთვე ასსიგნები მალარიის სფეროში სანიტარული უვიცობის სალიკვიდაციოდ საჭირო ღონისძიებათათვის, ქალაქების ფარგლებში და სხვა დასახლებულ პუნქტებში, აგრეთვე წითელი არმიის ნაწილების სამყოფელ რაიონებში გამაჯანსაღებელ სამუშაოების ჩატარებისათვის.

შენიშვნა. სანაპირო რაზმების სამყოფელ რაიონებში ჩასატარებელ გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა დაფინანსება სწარმოებს განსაკუთრებულად დადგენილი წესით.

22. მალარიასთან და სხვა ტროპიკულ დაავადებასთან ბრძოლის ყველა ღონისძიება რკინის გზებზე და ახალ სარკინისგზო საშენებლებზე, აგრეთვე წყალსავალ გზებზე და პორტებში (ა/კ. რკ. გზები, შავი ზღვის სანაპირო რკინის გზა, ალიათ-ჯულფის რკინის გზა და სხვა მისთ.), როგორც ჰიდრო-ტექნიკურ სამუშაოთა ხაზით, ისე სამედიკო-სასანიტარო ხაზით,—ფინანსირდება გზათა სახალხო კომისარიატისა და წყალთა სახალხო კომისარიატის ხარჯთაღრიცხვებით—არსებული წესისამებრ.

23. რათა შეიქმნას პირობები, რაც უზრუნველჰყოფს მუშებს მალარიით დაავადებისაგან, ის სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო და სამშენებლო ორგანიზაციები (მათ შორის საკავშირო მნიშვნელობის მქონენი—არსებული წესისამებრ), რომელნიც მალიარიან რაიონებში მუშაობენ, აფინანსებენ—კაპიტალდაბანდებათა ხაზით—სასანიტარო მელიორაციის სამუშაოებს სამკილომეტრიანი ზონის ტერიტორიაზე საწარმოს, სამუშაოებისა და მუშათა მუდმივი საცხოვრებლების ადგილიდან.

იგივე სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო და სამშენებლო ორგანიზაციები აფინანსებენ—კაპიტალდაბანდებათა ხაზით—ტროპიკული დისპანსერებისა, სამალარიო პუნქტებისა და მათი პერსონალის ბინების მშენებლობას.

შენიშვნა 1. დიდრონი ჰიდროტექნიკური სამუშაოები და აგრეთვე ტროპიკული დისპანსერებისა და სამალარიო პუნქტების მშენებლობა რამდენიმე ახლომდებარე საწარმოს სამყოფელ რაიონებში ფინანსირდება ამ საწარმოთა მიერ ერთად სათანადო წილადობით, რასაც განსაზღვრავენ—შესაბამისობით—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოები.

შენიშვნა 2. იმ დიდრონ ჰიდროტექნიკურ სამუშაოთა წარმოების საჭიროებას, რომელთაც აქვთ მარტოოდენ სასანიტარო-საგამაჯანსაღებლო მნიშვნელობა, განსაზღვრავენ თვითეულჯერ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოები ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატების წარდგენით და, ამ დადგენილებათა თანახმად, ასსიგნები ამ სამუშაოებისათვის შეიტანება სათანადო საწარმოს და ორგანიზაციის კაპიტალური სამუშაოების გეგმაში.

24. 23 მუხლში აღნიშნულ სამეურნეო ორგანიზაციათა და საწარმოთა საკუთარი სახსარიდან გაიცემა აგრეთვე ხარჯები მალარიასთან და სხვა ტროპიკულ დაავადებასთან ბრძოლისათვის და ეს ხარჯები შეიტანება ხსენებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა საწარმოო-საოპერაციო ხარჯთაღრიცხვებში სპეციალური ტიტულებით შემდეგ ღონისძიებათათვის:

ა) გამაჯანსაღებელი სამუშაოების წარმოება დანავთიანებით, პარიზული სიმწვანის შეფრქვევით, გამბუზიის გაშენებით და სხვა მისთ.—განსაკუთრებული პროგრამის და გეგმის კვალობაზე, რაც შეთანხმებულ უნდა იქნეს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ორგანოებთან;

ბ) ჰიდროტექნიკური ხასიათის მცირე ბონიფიკაციური სამუშაოები, რომელთა საჭიროება და რაოდენობა ყოველ წელს განისაზღვრება ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის და შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოებისა, და-

ინტერესებული უწყებისა და სათანადო პროფესიონალური კავშირის შეთანხმებით;

გ) მუშათა შრომის პირობებისა და საცხოვრებლების მექანიკური დაცვის ღონისძიებანი (მობადვა, პოლოგიზაცია და ტამბურიზაცია);

დ) ამიერკავკასიისა და რესპუბლიკანური სამალარიო კომიტეტების მინიშნებით დაჭაობებულ ადგილებში მალარიასთან ავიომეთოდით ბრძოლის მოწყობისათვის საჭირო ხარჯებში მონაწილეობა.

25. ა/კსფსრ კოლექტიური მეურნეობანი შეიძლება, გაწვეულ იქნენ შრომითი მონაწილეობისათვის შემდეგ საბონიფიკაციო ღონისძიებათა განხორციელებაში: დაგუბებული წყლების ლიკვიდაცია, დანავთიანება, სასანიტარო ხასიათის ღონისძიებანი, მობადვა, არხების გაწმენდა.

26. წინა მუხლში აღნიშნული სამუშაოები და ღონისძიებები—კოლექტიურ მეურნეობებად არაორგანიზებული მოსახლეობისათვის მომსახურეობის გასაწევად—განხორციელდება თვით მოსახლეობის ძალებით და სახსარით თვითდაბეგვრის წესისამებრ.

27. ყველა უწყება, ორგანიზაცია და საწარმო, რომელიც, ამა დებულების თანახმად, აფინანსებს მალარიასთან და სხვა ტროპიკულ დაავადებასთან ბრძოლის ღონისძიებებს როგორც საკუთარი სახსარით, ისე საბიუჯეტო ასიგნებით, მოვალეა გამოჰყოს თავის საპერპექტივო გეგმაში, საკონტროლო ციფრებში, ხარჯთაღრიცხვაში, სამრეწველო-საფინანსო გეგმაში და აგრეთვე საანგარიშო მასალაში და კონიუნქტურაში, სპეციალური ტიტულებისა და პარაგრაფების სახით, როგორც ხარჯები, ისე ამ ხარჯების დამასაბუთებელი საქსელო და სხვა მაჩვენებლები მალარიასთან და სხვა ტროპიკულ დაავადებასთან ბრძოლის ხაზით.

28. ა/კსფსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოებს, აგრეთვე ამიერკავკასიის და რესპუბლიკანურ სამალარიო კომიტეტებს ეკისრებათ აწარმოონ სისტემატური კონიუნქტურული დაკვირვებანი მალარიასთან და სხვა ტროპიკულ დაავადებასთან ბრძოლის სფეროში.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

46. მეაბრეშუმეობის სფეროში 1932 წლის გაზაფხულისათვის საწარმოო დავალებათა შესახებ.

„1933 წლის საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის გეგმის შესახებ“ გამოცემული 1933 წ. იანვრის 14-ის დადგენილების მე-3 მუხლის დასამატებლად და შესაცვლელად („ზარია ვოსტოკას“ მე-14 №-ი 1933 წ. იანვრის 16-სა) და „მეაბრეშუმეობის განვითარების შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. სექტემბრის 9-ის თარიღისა და 1405 №-ის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1932 წ. 69 №-ი, მუხ. 414) ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. განსაზღვრულ იქნეს შემდეგი საწარმოო დავალებანი მეაბრეშუმეობის სფეროში 1933 წლის გაზაფხულისათვის:

	აზ. სსრ	სომ. სსრ	საქ. სსრ	ა/კსფსრ
1. გაცოცხლებული აბრეშუმის ჭიის თესლი (ათასი კოლოფობით)	80,0	2,5	88,0	170,5
2. გამოსავალი 1 კოლოფზე (კილოგრ.) . . .	25	41	32	28,7
3. ნედლი პარკის საერთო პროდუქცია (ტონობით)	2.000	100	2.800	4.900

2. წინიდადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—დაავალონ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებსა და მეაბრეშუმეობის ტრესტებს—დაუყოვნებლივ გაანაწილონ დაწალებანი მეაბრეშუმეობის სფეროში რაიონებზე და იხმარონ ღონისძიებანი აბრეშუმის ჭიის თესლისა და პარკის შესახები 1933 წლის კამპანიის გეგმის სავსებით აღსრულების უზრუნველსაყოფად.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ა. დოგადოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1933 წ. თებერვლის 9.
№ 512.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკას“ 34 №-ში 1933 წ. თებერვლის 10-ს.

-289

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავლიტი № А-183. საქართველოს საბჭომსაბჭოს სტამბა. შეკვ. № 1394. ტირაჟი 1.400